წელიწადი მეორე ფასი 7 კაპ. კვირა, 24 აპრილი 1916 წ. № 91

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

[illegible] ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ღირება 4 მ.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**უპრემიოდ ღირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
**პრემიებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ. გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.
**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.
**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

## ახალ კლუბის დარბაზში
## ქარ. კულტ. მოყვ. საზოგად. თაოსნ.

**კვირას, 24 აპრილს დავით კასრაძის მიერ** წაკითხულ იქმნება ლექცია
**უხელო რაფაელნი და მათი „ცისფერი ყანწები“.**
ლექციის შემდეგ გაიმართება კამათი. ფასები 1 მან., 50 კაპ., და 20 კაპ.
**დასაწყისი ნაშუადღევის 12½ საათზე.**
ბილეთები ისყიდება „საქართველო“-ს რედაქციაში 9—3 ს.-მდე.

## სახალხო სახლი

**ორშაბათს 25 აპრილს** ქართ. დრამ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
ტრაგ. 5 მოქ. და 9 სურ. **ჰამლეტი** ვ. შექსპირისა, თარ. ივ. მაჩაბელისა.
**მონაწილეობას მიიღებენ:** აბაშიძე ტასო, დავითაშვილი ნ., ქიქოძე ანეტა, ბეჟანიშვილი ს., აბაშიძე ვასო, გუნია ვალ., გომელაური ზაქ., თარალაშვილი ი., იმედაშვილი ალ., იმხნელი გ., ზარდალიშვილი ი., მამფორია ილ., სარაული კ., კორიშელი პ., გვარაძე ნ., ვარვარიძე ვ., გედევანოვი გ.
**წარმოდგენის დასაწყისი საღ. 8 ს.** — რეჟისორი **კ. ანდრონიკაშვილი.**
ადგილების ფასი 15 კ.-დან 1 მ. 50 კ.-მდე. (3-87-2)

## სკოლა ტყეში

**3750 ფუტია ზღვის დონეზე** — საზაფხულო ახალშენი ჯანით სუსტი ბავშვებისათვის წაღვერის ტყეში. — **წელიწადი მესამე**

## ზ. გ. არჯევანიძისა
### სეზონი გაიხსნება 20 მაისს

ბავშვების ჩაწერა საჭიროა 1 მაისამდე. **თბილისი:** მალაკნების ქუჩა, № 27, დღის 1—3 საათამდე.
(2-150-2)

## ახალი კლუბი

**ერთი კვირის პროგრამა 25 აპრილიდან—1-ლ მაისამდე.**

**ორშაბათი**—სინემატოგრაფი, სიმებიანი ორკესტრი.
**სამშაბათი**—სიმებიანი ორკესტრი.
**ოთხშაბათი**—სინემატოგრაფი და სიმებიანი ორკესტრი.
**ხუთშაბათი**—ქართული წარმოდგენა.
**პარასკევი**—სინემატოგრაფი და სიმებიანი ორკესტრი.
**შაბათი**—ოპერეტკა რუსულ ენაზე.
**კვირა**—კლუბი გადადის თავის საზაფხულო შენობაში. გაიმართება საერთო სადილი. სამხედრო მუსიკა, საზანდარი. საღამოთი სინემატოგრაფი.

დასაწყისი: წარმოდგენებისა საღ. 8 საათზე.
სინემატოგრაფებისა საღ. 8½ სათ.
შესასვლელი ფასი კლუბში ჩვეულებრივია მხოლოდ ხუთშაბათს და შაბათს იხდიან: მანდილოსნები და სტუდენტები ფორმაში—65 კაპ. მამაკაცები 1 მან. 5 კაპ. (1—60—1)

## შეშის საწყობი
## ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
**ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასში**
## საკუთარი ტყიდან
**საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც**
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

## ქ. ბაქოში
## ღვინით ვაჭრობა
## „მელაანი“
## თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.
**იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები**
(112—წ.)

## მოდური მაღაზია
## მ. ბაშარულისა
### სასახლის ქუჩაზე
იშოვება ყოველგვარი საუკეთესო რჩეული საქონელი
## მხოლოდ ევროპიული
(—83—10)

### საგალანტერიო მაღაზია
## ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
## ი. ი. გველესიანისა
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
**იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:**
**ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი**
(101—წ.)

## ვაგზლის სამკურნალოში
**(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდით)**
### სამკურნალოს ყველა ექიმებმა
### კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.
აგრეთვე ექიმი—ქალი **მარ. კონ. იოსელიანისა** მიიღებს **დედათა სნეულებით** ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.
(თ.—126—21)

### საუკეთესო კახური
## ღვინის საწყობი
### გიორგი ილიას ძის
## ჩუბინაშვილისა
**მისამართი: ავლაბარი, პეტრე პავლეს-ქუჩა კახეთის მოედანი.**
(თ—81—5)

### საუკეთესო კახური
## ღვინის საწყობი
### ადამ ზურაბის ძის
## ბერელაშვილისა
**მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.**
(102—წ.)

**დოქტორი მედიცინისა**
მოსე ანთიმოსის ძე
## კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.
**ტელეფონი, 17—21.**

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** 22 აპრ. ოფიციალი. დვინის ასპარეზზედ სროლაა. კრევოს სამხრეთით მომხდარი საარტილერიო ბრძოლა 21 აპრილს ღამით მიყუჩდა.

ოგინის არხის მხარეს მტერმა საარტილერიო ცეცხლი გააჩინა. სადგურ ოლიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით დაჭერილი ადგილები გავამაგრეთ.

ტარნოპოლ-ეზესნის რკინის გზაზე მტრის მედგარ იერიშს, არავითარი შედეგი არა ჰქონია.

**კავკასიის ასპარეზი.** ბაიბურთის მიმართულებით, ოსმალნი შეეცადნენ იერიშით წამოსულიყვნენ, მაგრამ ამაოდ.

ერზინჯანის მიმართულებით დავიჭირეთ მტრის თხრილები და მტერიც საშინლად დავაზიანეთ. ბითლისის მიმართულებით მიტანილი ყველა იერიშები მოვიგერიეთ.

—

**პარიზი,** 21 აპრილი. ოფიციალი. საღამოს ცნობა. არგონებში, შეპეს ტყესთან, ჩვენმა ზარბაზნებმა მტრის სიმაგრეებს სროლა აუტეხა. ფილმორში სანაღმო ბრძოლაა, რომელიც ჩვენ სასარგებლოდ მიმდინარეობს. მაასის დასავლეთით, „304“ სიმაღლის მიდამოებში, მკაცრი საარტილერიო ბრძოლაა. გერმანელთა იერიში მორტჰომთან მოვიგერიეთ. მდ. მაასის აღმოსავლეთით ვევრთან ჩვენი ზარბაზნები დრო-გამოშვებით მოქმედობდა. სხვა ადგილებში ჩვეულებრივი სროლაა ზარბაზნებისა.

**ჰავრი,** 21 აპრილი. ბელგეთის ცნობა. დიკსმიუდესთან და მის დასავლეთით მკაცრი საარტილერიო ბრძოლა დაიწყო. ზარბაზნები ახლო-მახლო მიდამოებშიაც ახმაურდა.

**პარიზი,** 21 აპრილი. ოფიციალი. დღის ცნობა. ბელგეთში, ჩვენმა არტილერიამ მტრის სიმაგრენი გაანადგურა. მაასის დასავლეთით, ყველგან ყუმბარებს უშენენ. ავოკურის ტყეში მთელი ღამე იბრძოდნენ ხელის ყუმბარებით. მორტჰომთან დაჭერილი ადგილები გავამაგრეთ. ვოს მიდამოებში, მაასის ჩრდილოეთით, ზარბაზნების სროლაა. ვევრში ჩვენი არტილერია მოქმედობდა. ეპარჟში ავაფეთქეთ ნაღმი, სადაც გავმაგრდით. სენ-მიელის აღმოსავლეთით, მტრის მზვერავთა რაზმები გავფანტეთ, რომელთაც სურდათ, აპრემონის მიდამოში სადარაჯოს დაჭერა. დომონის მიდამოში, ჩვენი მფრინავი, შეება ორ გერმანელ აეროპლანს. მტრის ერთი ჰაეროპლანი დაზიანდა და მერე მიეფარა.

**პარიზი,** 22 აპრ. დღის ცნობა. მდ. სომიდან სამხრეთით მტერმა კაპლის მიდამოებში მოულოდნელად იერიში მოიტანა მაასის დასავლეთით, ზარბაზნის მკაცრი სროლის შემდეგ, გერმანელებმა „304“ სიმაღლეზე ძლიერი იერიში მოიტანეს, რომელიც მოვიგერიეთ, თუმცა რამდენიმე წინა წყების თხრილი ხელთ იგდეს. მაასის აღმოსავლეთით და ვევრში დრო-გამოშვებით საარტილერიო ბრძოლაა სხვა ადგილებში ღამემ მშვიდათ ჩაიარა.

**რომი,** 21 აპრილი. მთავარშტაბის ცნობა. კასტელლაცოსთან, მტერი სამჯერ წამოვიდა ჩვენი სანგრებისაკენ, მაგრამ ვერას გახდა. მათგან 30 დავატყვევეთ ადამელოში მტერმა იერიში მიიტანა კრაცო-დი-ფარგორიდის ჩრდილოეთით და კრაცცო-დი-ლარესზე. ჩვენ მოვიახლოვეთ 100 ადლის მანძილზე, შემდეგ ტვიისმფრქვეველები და თოფი დავუშინეთ და დიდად დაზიანებული უკუვაგდეთ. ადიჟეს და მრენტის-ასპარეზზე ჩვეულებრივი საარტილერიო ბრძოლაა. სადგური კალიანო და დონსო-დელ-სომის ნავთსადგური დავაზიანეთ. კოლდიანიდან უშედეგო იერიშით წამოვიდა მტერი. იზონცოში ვესროდით ტოლგინოს და სასურსათო ურმებს. რავენნაში მტერმა ყუმბარები ჩამოჰყარა. ზიანი მცირეა. გორიცის ჩრდილოეთით ორი ჩვენი მფრინავი მედგრად ისროდა ყუმბარებს. ერთი გამოურკვეველ მიზეზის გამო დაეშვა მტრის მიწაზედ მეორე კი უვნებლად დაბრუნდა.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
## ახალი აფთიაქი
**პროვიზორის ახვლედიანისა**

**ექიმი-დოსტაქარი**
## გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

## ექიმი მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი
## მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულელებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**„შავი ჰაეროპლანი“ რიგის ასპარეზზე.**

რიგის მიდამოებში ახალი ტიპის ჰაეროპლანები ამოქმედდენ. თავისი სიდიადით და გარეგნული შეხედულებით ეს ჰაეროპლანი არც ერთ ტიპის ჰაეროპლანს არა ჰგავს. „შავი ჰაეროპლანი“, როგორც ეტყობა, ჯავშნიანი უნდა იყოს, ანვითარებს დიდ სისწრაფეს, საათში 180 ვერსს დაფრინავს. გარდა ამისა ეს ჰაეროპლანი ჰაერში ყველა დამაბრკოლებელ პირობებს გაუმკლავდება და საცა უნდა გამოჩნდება. იქ უშიშრად გერმანელთა ახალ კონსტრუქციის ჰაეროპლანი პირველად ბზობა დღეს გამოჩნდა რუსეთის მიდამოებში და ყუმბარებიც ჩამოჰყარა. ამ უკანასკნელ ხანებში ეს ჰაეროპლანი ხშირად ესტუმრება ხოლმე რიგას და იაკობშტატს. იგი 3,500 სიმაღლეზე დაფრინავს.

**საბერძნეთი და ეპირის საკითხი.**

„უნივერსული“ ბუქარესტიდან იტყობინება; საბერძნეთის მთავრობამ, რომელმაც ჩრდილოეთ ეპირი შემოიერთა, გადასწყვიტა ეს ადგილი არავის დაუთმოს. ამ ადგილებში თავისი მდგომარეობა, რომ უზრუნველ ჰყოს, საბერძნეთის მთავრობამ ჯარის საუკეთესო ნაწილები ჩრდილოეთ ეპირში გადაიყვანა.

**ვერდენთან.**

ფრანგულ გაზეთების მიხედვით, ვერდენთან ბრძოლა დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს. ამის დამამტკიცებელი ის არის, რომ გერმანელებს აქედან მძიმე ზარბაზნები სხვა ადგილებში გადააქვთ. გამოცნობა იმისა, თუ სად ამოქმედდებიან გერმანელები ძნელია. ზოგი ამგვარ ადგილად ფლანდრიას ასახელებს, ზოგი სალონიკს.

როგორც უკანასკნელ ცნობებიდან ვგებულობთ, ინგლისის ასპარეზით გაცხოველდა ბრძოლა. დიდი ხანია ამ მიმართულებით გერმანელები ჯარს და ზარბაზნებს თავს უყრიდნენ. გერმანელები აღმოსავლეთ ასპარეზისკენ არ შეუტევენ, ვიდრე მათი შეტევა ჩრდილო-დასავლეთისაკენ რამე ნაყოფს არ გამოიღებს. ინგლისის ასპარეზზე საარტილერიო და სანაღმო ბრძოლის შემდეგ ფრელინგინ-ნევილსენტ-ვაასტის ხაზ[illegible], გერმანელები რამდენჯერმე ეხეთქნენ, მაგრამ უშედეგოდ, მხოლოდ რამოდენიმე ადგილი იგდეს ხელთ. ინგლისის მიდამოებს გერმანელები რამდენად დიდ ყურადღებას აქცევენ, ეს იქიდან სჩანს, რომ ამ ადგილებში ესენი სულის შემხუთველ გაზებს ხშირად ხმარობენ.

### ვილსონი და შტატები.

ვილსონს უთქვამს: ღმერთმა აშოროს შტატებს ომი. მაგრამ თუ კი ომი აუცილებელია, მაშინ დარწმუნებული ვართ, თვითეული ჩვენგანი დააწნებს ოცნებას თავს და იარაღს აისხავს. ჯერჯერობით კი მშვიდობიანი მოლაპარაკება და მოქმედება გვსურსო.

### ავღანისტანი

ავღანისტანშიც სიმშვიდე დაირღვა. აქაც გაჩნდენ გერმანელთა „მოუსვენარი“ აგენტები. ომის დაწყებისას ავღანისტანს, როგორც სტრატეგიულად მნიშვნელოვან მხარეს, მტერი დიდ ყურადღებას აქცევდა. ამის გამო თეირანამდე მისული აგენტები აქაც აწყობდნენ საქმეს. ასეთ აგენტთა პირველ ჯგუფს მოჰყვა მეორე, უფრო ძლიერი ჯგუფი, რომელიც საოცარის სისწრაფით ავრცელებდა ადგილობრივ ენაზე დაწერილს მოწოდებებს რუსეთ-ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგ. ეს აგენტები არავითარ ხერხს არ ერიდებოდნენ. თეირანში მყოფმა გერმანეთის ელჩმა რეისმა საიდუმლო წერილებით სეიდი (სასულიერო პირია) გაგზავნა ავღანისტანის ემისართან და სხვა წარჩინებულებთან. სეიდს მიჰყვა აგენტი ნიდერმანი ფულ-იარაღით დატვირთულ ქარავნებით. ნიდერმანს იმედი გაუცრუვდა და შუა გზიდან დაბრუნდა. მაგრამ თავისი კიდევ არ დაიშალეს და მესამე აგენტი გაგზავნეს—ბერნარდი, რომელიც ავღანელებმა დაატყვევეს. მან მხოლოდ მოწოდებათა გავრცელება მოასწრო.

რამდენიმე ხნის შემდეგ ცნობილმა შეიხმა ობეიულა ეფენდიმ, გადასცა ავღანელ ემირს, ხონთქრისაგან წამოგზავნილი ბრილიანტით შეჭედილი ხმალი და ოქრო-ვერცხლით შეჭედილი უნაგირი. შემდეგ ავღანელები სტუმართ მოყვარეობით აჰხვდნენ რუსეთიდან გამოქცეულ ავსტრიელ ტყვეებს. ერთი სიტყვით ავღანელები მალე შეეთვისებიან ავსტრია-გერმანელთ და ახლო მომავალში ამბოხება აქაც აუცილებელია. მტერს ჰსურს, ერთდროული აჯანყება მოახდინოს სპარსეთსა და ავღანისტანში და მით დააბანდოს რუსეთის ჯარები საერთო მოქმედების დროს. სპარსეთში უკვე მიაქციეს ამ გარემოებას ყურადღება და განზრახულ აჯანყების ჩანასახიც კი მოსპეს. ავღანისტანში ასე არ მოდება. იქ ძლიერი ნებისყოფის ხალხია და მათი სამხედრო ძალა და ფინანსიური მხარეც გაცილებით უკეთეს პირობებშია, ვიდრე სპარსეთისა.

### რუმინეთი.

წინად გვქონდა მოხსენებული: რუმინეთი ახალ სესხის აღებას აპირებსო. 15 აპრილს, რუმინეთის პრესამ დაამტკიცა ეს და მხურვალე წერილებით მიჰმართა მცხოვრებთ, მოაწერონ ხელი ახალ სესხს—(150 მილ. ფრანკ.) ხელის მოწერა 21 აპრილს დაიწყო.

### პორტუგალია.

ლისაბონიდან იტყობინებიან: ადგილობრივმა მთავრობამ განდევნა გერმანელები და მათი ქვეშევრდომები, დასტოვეს მხოლოდ იტალიელები, ელზასელები და სლავიანები.

### ჩინეთი.

29 მარტს, (ახალი სტილით,) მომხდარ რევოლიუციის მსხვერპლთა რაოდენობა მხოლოდ ახლა გამოირკვა. მეამბოხეთაგან 4300 მოჰკლეს. მთავრობის ჯარს მოუკლეს 2.800 კაცი, 4.000 დაუჭრეს.

### საბერძნეთის მდგომარეობა.

პეტროგრადიდან იტყობინებიან: საბერძნეთის მთავრობამ უარი შეუთვალა მოკავშირეთ სერბიის ჯარის გატარებაზე თავისს მიწა-წყალზე. მიზეზათ საბერძნეთმა სამი დებულება წამოაყენა: პირველი, სერბიის ჯარის გატარება საბერძნეთისათვის სახიფათოა, რადგანაც შეიძლება ამას სხვა და სხვა გადამდები სენის გავრცელება მოჰყვეს, რაც საბერძნეთს დიდ გასაჭირში ჩააგდებს.

მეორე მიზეზათ უნდა ჩაითვალოს რკინის გზის უქონლობა, რომელიც გრე რიგათ არ არის გავრცელებული საბერძნეთში. თუ სერბიის ჯარის გადასხმას დაიწყებენ, აცხადებს მთავრობა, მაშინ საბერძნეთში სამგზავრო და საქონლის მატარებლები უნდა შეჩერდეს, რაც შეავიწროებს, როგორც მცხოვრებთ, ისე მთავრობას.

მესამე მიზეზათ უნდა ჩაიუთვალოს შიში საბერძნეთისა გერმანეთის წინაშე. ეს შიში გამოიწვია იმან, რომ გერმანეთმა საბერძნეთის მთავრობას შეუთვალა: თუ ვინიცობაა სერბიის ჯარმა საბერძნეთის მიწა-წყალზე გაიარა, გერმანეთი თავისუფალ მოქმედების უფლებას იტოვებსო. მარტივად რომ ვსთქვათ, გერმანეთს ამ შემთხვევაში საბაბი მიეცემა საბერძნეთს შეესიოს.

დიპლომატთა წრეებში ამტკიცებენ, რომ საბერძნეთის უარი მოკავშირეთათვის დიდი მნიშვნელოვანი მოვლენაა.

მაშასადამე თუ მოკავშირენი გადასწყვეტენ ჯარის გადაყვანას, საბერძნეთს არ დაეკითხებიან და მას ანგარიშს არ გაუწევენ.

ამ შემთხვევაში მოკავშირენი ულტიმატუმს კი არ გაუგზავნიან საბერძნეთს, არამედ იარაღით იმმოქმედებენ.

### სერბიის ჯარი.

ათინიდან იტყობინებიან: სერბეთის ჯარის საკითხი დღეს საჭირბოროტო საკითხად გადაიქცა. გაზეთები აღნიშნავენ: საბერძნეთს გადაწყვეტილი აქვს სერბიის ჯარი არ გაატაროს თავის მიწა-წყალზე. ჰფიქრობენ, მოკავშირენი ძალას იხმარებენ, რაც საბერძნეთის და მოკავშირეთა შორის ომს გამოიწვევსო.

### მესოპოტამია.

მესოპოტამიაში მოქმედება ინგლისმა დაიწყო 1914 წ. ღვინობისთვეს. ინგლისის ჯარმა დაიჭირა ქ. ბასრა. ერთი წლის შემდეგ ქალაქი კუტ-ელ-ამარიც აიღეს და განიზრახეს ბაღდადშიდაც აეფრიალებინათ თავიანთი დროშა. ქტეზიფონის ბრძოლის შემდეგ ესენი ნელა ნელა იხევდენ და როდესაც მიაღწიეს კუტ-ელ-ამარს ოსმალნი გარს შემოერტყნენ.

მიუხედავად დიდი ზარალისა, ტოუნსენდის 143 დღის გამაგრებამ დიდი სარგებლობა მოუტანა მოკავშირეთ და კერძოდ რუსებს, შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ ამის მიზეზით აიღეს რუსებმა ტრაპიზონი, რადგანაც თურქებს არა ჰყავდათ იმდენი ძალა რომ ორთავე ადგილას საგრძნობლად მომზადებულიყვნენ.

აშკარაა, ეხლა კუტ-ელ-ამართან განთავისუფლებული ოსმალთა ჯარები კავკასიის ასპარეზისკენ წამოვა სერიოზულ მოქმედებისთვის.

### საფრანგეთის სავაჭრო კონფერენცია.

საპარლამენტაშორისო კრებაზე ლიუცატი შეეხო მოკავშირეთა ფინანსიურ მდგომარეობას და სურვილი გამოსთქვა maba კავშირის შორის ამ დარგში შეთანხმება მოხდეს. უპირველესი ყურადღება, მისი აზრით, ოქროს მოძრაობის საკითხს უნდა მიექცეს. მისი აზრით დღეს მოკავშირენი დიდ დაბრკოლებას განიცდიან ქვანახშირის უქონლობისა გამო, რასაც ყველაზე დიდი ყურადღება ინგლისმა უნდა მიაქციოს!.

ლუცატის აზრს დეიმარკიც მიემხრო და ქვანახშირის სიძვირეს მიაქცია ყურადღება.

იიგლისის წარმომადგენელი ალენ ბეკერი ლიუცატის გამოეკამათა და აღნიშნა ინგლისი ისედაც დიდ დახმარებას უწევს მოკავშირეთ. კარლ დუბერგმა აღნიშნა, ფულის კურსის საკითხი მოკავშირე სახელმწიფოთა შორის გამწვავებულია და უნდა გადაისინჯოს. ამ საკითხის თაობაზე დადგინეს, პარიზში მუდმივი კომისია დაარსონ.

კონფერენციამ ლუცატის წინადადება მოიწონა და დაადგინა: მოწვეულ იქმნას მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლების კრება, ფინანსიურ მდგომარეობის მოსაგვარებლად. გარდა ამისა კონფერენციამ ვაჭრობა მრეწველობის შესახებაც შესაფერი რეზოლიუციები გამოიტანა.

## ბრძოლის ველზე

### ვერდენის გარშემო

რუსეთის სამხედრო მიმომხილველნი, მაგალითად, მიხაილოვსკი, შუმკი, პოლევოი, დიმიტრიევი და სხვები ერთხმად დასძენენ, რომ ვერდენის ოპერაცია დასრულებულად უნდა ჩაითვალოსო. ამის თითქოს დასამტკიცებლად ჩვენი კორესპონდენტიც დასძენს, ახლა ფრანგებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და თვითონვე მიაქვთ იერიშებიო. დეპეშათა სააგენტოც, აგერ ერთს კვირეზე მეტია, საიმისოს არას იძლევა. ყველაფრით სჩანს, გერმანელები იხევენ. აგერ, დღეს ჰავასის სააგენტოც იუწყება, გერმანელებმა გასწმინდეს „265“ მაღლობიო. გვეხსომება, ამ მაღლობის გამოისად რაოდენი მსხვერპლი გაიწირა ორთავე მხრით, რა საკამათო საგნად იყო იგი გარდაქცეული. მართალია, ოფიციალ მოხსენებაში დღეს ნათქვამია, გერმანელებმა მაასის დასავლეთით სასტიკი სროლის შემდეგ იერიშები განაახლეს „304“ მაღლობის ჩრდილოეთით, სადაც მხოლოდ მოწინავე თხრილები წაგვართვესო, მაგრამ ყველა ეს მხოლოდ ლიკვიდაციის მოსამზადებელი ნიშნებია და ერთგვარი სტრატეგიული საშვალება, რომ ფრანგებს ხელთ არ ჩაუვდონ ინიციატივა. ასეა თუ ისე, ვერდენთან ახლა იმ ამბების მოლოდინი აღარ უნდა გვქონდეს, რაც შეიძლება გვეგულისხმა, თუ ვინიცობაა ამ სიმაგრეს გადაანგრევდნენ. გერმანელთ ამიერიდან აქ დიდხანს შეჩერება აღარ შეუძლიანთ და უგნურ იერიშებით ჯარს აღარ შეაწყვეტენ, როგორც ეს ჩაიდინა ფონ-კლუკმა მარნასთან დამარცხების შემდეგ. მაშინაც და დღესაც მიზანი გერმანელებისა იყო საფრანგეთის სწრაფი შემუსვრა, რომ რკინის სალტიდან ჯავშნიანი ხელი გაენთავისუფლებინათ და ელვის სისწრაფით დიდი რუსეთისთვის შეეტივნათ. არ გაუმართლდათ იმედი მარნასთან საბედისწერო ომის შემდეგ და უკან დახეულნი პოზიციურს ბრძოლაზე გადავიდნენ. შემდეგ მთელი წელიწადი ინტენსიურ მზადებაში გაატარეს. გენერალ ფინკელჰაიმს შეამუშავებინეს გეგმა ახალის შეტევისა, რომ უმთავრესი მტერი—საფრანგეთი—შეემუსრათ, ან იმდენად მაინც დაეძაბუნებინათ, რომ რამდენიმე თვით, ან წლით, ფართოლაშქრობის თავი აღარ ჰქონოდა. მიაღწია მიზანს თუ არა გერმანეთმა? რა თქმა უნდა, არა! ვერდენის ოპერაციის სასურველი დასრულებით იგი ოცნებობდა გადამწყვეტ ომის გაჩაღებას არგონებისა და პარიზის შუა, რაიც გარდასწყვეტდა დასავლეთის საკითხს, მაგრამ ეს ვერ შესძლეს და, მაშასადამე, საფრანგეთი ისევ ძლიერი რჩება და დაუძინებელ მტრად უნდა ჩაითვალოს იგი და მხოლოდ იგი! საქმე ახლა ის არის, რა ძალა შერჩათ ფრანგებს, ან შესძლებენ თუ არა იმ აზრის განხორციელებას, რასაც ამ ზამთარს დაადგინენ მოკავშირენი, როდესაც იტალიას ესტუმრნენ და საზოგადო შეტევის გეგმა შეიმუშავეს? გერმანეთი თითქოს საცდელს დემონსტრაციებს აწარმოებს. როგორც დეპეშებიდან ვიცით, ვერდენიდან გერმანელებს მთავარი ძალები მიჰყავთ. სად? არავინ იცის. ვიცით მხოლოდ, რომ 15 აპრილიდან მოყოლებული სხვა და სხვა ადგილას იერიშებით მიდის, განსაკუთრებით საფრანგეთში და ბელგეთში მდგომ ინგლისელთა ჯარების წინააღმდეგ. პირველი შეტევა ინგლისელთა ჯარების მარცხენა ფრთაზე მოხდა, იპრისსამხრეთით, ხოლო მარჯვნივ ლოოსისკენ. მაგრამ ყველა ეს მოხდა ირლანდიის აჯანყებასთან ერთად. ასე რომ არ ვიცით, იყო ეს ვერდენიდან მოსული ჯარები, ადგილობრივი ძალები უტევდნენ, თუ ყველა ეს ერთგვარი დემონსტრაციაა მოკავშირეთა გამოსაცდელად რამდენი ძალ-ღონე შერჩენიათ, შეეძლებათ თუ არა ამ ახლო მომავალში ინიციატივის ხელში ჩაგდება და გამოლაშქრება. თუ რამ საშიში ძალა ნახეს, უეჭველია, ფრონტის შესუსტებაზე ოცნებაც მეტი იქნება. ვერდენიდან კორპუსებს ახლა აქეთ გადმოიყვანენ და, მაშასადამე, რუსეთისკენაც გალაშქრებაზე დიდს იმედებს ვეღარ დაამყარებენ, რადგანაც რუსეთიც დღეს საკმაოდ მოღონიერებულია და გალიციის ეპოპეის შიში აღარას დროს არ ექნება.

ასეა თუ ისე, ვერდენის ოპერაციამ გერმანელთათვის სასურველი ნაყოფი ვერ გამოიღო. მორალურ თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, მათს ძველ ძლევა-მოსილებას ერთი minus-ი მიემატება. იმედები გაცრუვდა. გერმანელებმა ამით სრულიად საწინააღმდეგო შედეგს მიაღწიეს. ერთად ერთ დადებით შედეგად მხოლოდ ის უნდა ჩაითვალოს, რომ მოკავშირეებს გრანდიოზული გეგმა ფართო და საერთო შეტევისა სულ ერთიანად ჩაუშალეს.

### კავკასიის ასპარეზი.

კავკასიის ასპარეზიდან შედარებით ნაკლები ცნობები მოდის. როგორც სჩანს, ოსმალნი ჯერ კიდევ ძალაში არიან, იერიშებისთვის თავი არ დაუნებებიათ. მთავარ შეტევის პუნქტებად შტაბი ისევ ძველ ადგილებს ასახელებს, ერზინჯანს, ბითლისს და ბაიბურთს. აი, ამ მხრით მოაქვთ ოსმალებს შეუჩერებლივ იერიშები, აქეთ სცდილობენ თავიანთ ძალების თავისმოყრას რუსთა ცენტრის გასარღვევად. შესძლებენ ამას ოსმალები? ყველა ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რაოდენი ძალები ჰყავთ. რუსეთის სამხედრო შტაბი მშვენივრად აფასებს მდგომარეობის სირთულეს და მიტომაც ყოველ ღონესა ხმარობს ოსმალთა ძალებს შეერთებაში ხელი შეუშალოს. ეფრატის დასავლეთი შტო, რომელიც მამახათუნსა და აშკალა-ბაიბურთს ერთი ერთმანეთისგან ჰყოფს, გენერალ იუდენიჩს საუკეთესო ციხის მაგიერობას უწევს და ოსმალთა ძალებს ერთი ერთმანეთისგან მარჯვედ სწყვეტავს. რაც შეეხება ბაიბურთს, როგორც ვიცით, კუტ-ელ-ამარის დაცემის შემდეგ აქ ოსმალთ შველა მიეცემათ. უნდა ვიფიქროთ, მაშველი ჯარები კიდევ არ იქნებიან შეერთებული ბითლისისკენ წამოსულ ოსმალთა ჯარებთან და თუ იერიშები მოაქვთ, ეს ახალი გამარჯვების სითამამეს უნდა მიეწეროს და არა მათს შეერთებულს ძალას, რაიც ამ ახლო მომავალში მოხდება.

### რუსეთის ასპარეზი.

რუსეთის ასპარეზზე საინტერესო მხოლოდ შოლცის არმიის ამოქმედება იყო. როგორც ვიცით, ნაროჩ-ვიშნევის ტბის მიმართულებით ჯერ კიდევ ვერდენის ოპერაციის პირველ ხანებში იერიშები დაიწყო. მოლოდინი ჰქონდათ რუსები ეხლა შეტევას გააფართოვებენ და ამით ხელს შეუშლიან გერმანელებს ვერდენთან ბრძოლაში. მართალია, რუსებმა ვერა გააწყეს რა, მაგრამ ისიც მართალია, რომ მარტის შუა რიცხვებში პატარა წარმატებით დაკმაყოფილდნენ და დასდუმდნენ. მას შემდეგ არც ერთხელ არ გასროლილა თოფი. გერმანელები ისე აჩვენებდნენ თავს, თითქოს არავითარი ბრძოლის სურვილიც კი არა ჰქონდათ. სამაგიეროდ საარტილერიო სროლით თუ მფრინავთა დაუცხრომელი თარეშით არ ესვენებდნენ რიგა-დვინსკის მიდამოებს. ხშირად 50 ვერსის სიშორეზედაც წასულან და აპარატებით შეცდილან რუსთა მთავარი პოზიციების და ჯართა რაოდენობის სურათის გადაღებას. ყველა ეს ჰმოწმობდა, რომ გერმანეთი უგულებელს ჰყოფდა ნაროჩის მიმართულებას. მაგრამ შესცდნენ სამხედრო მიმომხილველნი. უეცრივ, სწორედ ამ დადუმებულს მიმართულებით საარტილერიო ქარიშხალისებურმა ცეცხლმა იჩინა თავი. გერმანელები ჩვეულებრივი ელვისებური სისწრაფით ეკვეთნენ რუსებს და რამდენიმე ვერსით უკუ აგდეს. რუსის სამხედრო მიმომხილველნი ხელახლად შეშფოთდნენ. წინასწარმეტყველებდნენ, ეს ფართო იერიშების დასაწყისიაო, მაგრამ გენერალ შოლცს მოქმედება აღარ განუვითარებია. წინააღმდეგ საზოგადო მოლოდინისა სწრაფად ამოვარდნილი ქარიშხალი სწრაფადვე შეჩერდა. ეტყობა, ყველა ეს ერთგვარი დემონსტრაციაა რუსთა მთავარი ყურადღების მისაპყრობად, რათა ერთგვარი ფარდა აქ აეფარონ და ჯარების გადაჯგუფებას შეუწყონ ხელი. რა განზრახვა აქვს ჰინდენბურგს, რა გეგმას ასრულებინებს შოლცს, რა სურვილით აღჭურვილია მისი დემონიური სულის კვეთება, ეს ჯერ კიდევ საიდუმლოა. ყოველ მხრით ამბობენ, ჯერი რიგაზე მიდგაო, რიგას შეუტევენ ხმელეთით და ზღვითაცაო, მაგრამ ვინ იცის, ასე მოხდება თუ არა? გერმანელთ ამდენი ძალა შესწევთ? გალიციის ეპოპეის დაწყებამდე ბრანდენბურგის საუკეთესო პოლკები და ბავარიის კორპუსები ხელუხლებელი ჰყავდათ დღეს? ამდენი ომების შემდეგ, და განსაკუთრებით ვერდენის ოპერაციის შემდეგ, სადაც საუკეთესო ჯარები იღებდნენ მონაწილეობას კრონპრინცის სახელოვან გვარდიითურთ, მოლოდინი ნაკლებ უნდა გვქონდეს, რომ რუსეთისკენ რაიმე საშიში რამ მოხდეს. მართალია, ერთ დროს მორატმა განაცხადა, ჩვენ ყველა მხარეზე საკმაო ძალები გვყავს და იარაღიც ბლომად მოგვეპოვებაო, მაგრამ ამ შემთხვევაში არა გვგონია მის წინასწარმეტყველებას და რწმუნებას რაიმე საბუთი ჰქონდეს.

X.

### ტფილისი, 24 აპრილი.

**დღევანდელი ვითარება** არც ომის მოგებაშია რუსეთის ხსნა და არც ომის წაგებაშია მისი დაღუპვა. დღეს გამარჯვებული სახელმწიფოც წაგებულია, და მით უფრო წაგებულია იგი, რაც ნაკლებად არის მასში განვითარებული მოქალაქობრიობა, პოლიტიკური კეთილსინდისიერება, რაც უფრო დაშორებულია ხალხი მთავრობას და რაც უფრო დაბალ საფეხურზე სდგას ქვეყნის სწავლა-განათლება და ეკონომიური საქმიანობა. გამარჯვებითაც წაგებულ სახელმწიფოს მით უფრო ჰმართებს თავის წესწყობილების რევიზია, მით უფრო სჭირდება რეფორმების შემოღება, ტეხნიკური და სხვა გვარი სწავლა-განათლების გავრცელება, ეკონომიური საქმიანობის შექმნა, რაც უფრო ნაკლებად იყო იგი კეთილმოწყობილი სახელმწიფოებრივად, ეკონომიურ-კულტურულად და პოლიტიკურად ომის დაწყებამდე.

ამ მხრივ დღეს დიდ მებრძოლ სახელმწიფოთა შორის ყველაზე მეტი მუშაობა რუსეთს დასჭირდება. და რუსეთის ხსნაც სწორედ იმ მუშაობის ხასიათში და ინტენსიურობაშია, რომელიც მან უნდა აწარმოვოს ამ ომის შემდეგ. თუ აწინდელი მთავრობა თავის ვიწრო ეგოისტურ ინტერესებს არ გამოუდგება, არამედ რუსეთის სახელმწიფოს მომავალით იხელმძღვანელებს, მაშინ მან უნდა უკუაგდოს მშიშარა ბატონის უნდობლობა და გაბედულად და აშკარად გამოვიდეს ღრმა რეფორმების პროგრამით, ჩაუყაროს კანონიერი პირობების სახით საძირკველი ისეთ ურთიერთობას ხალხსა და მთავრობას შორის, რომელიც შესაძლებელს ჰყოფს მათს თანამშრომლობას. ამ თვალსაზრისით სამოქმედო ასპარეზზე გამოსულმა მთავრობამ პირველყოვლისა იმ ერებს უნდა მიჰხედოს, რომელნიც დიდის ხნობით მოითხოვენ თავიანთ ეროვნულ უფლების შეწყნარებას. სახელმწიფოებრივი მუშაობის პრაქტიკაში ამგვარი ნაბიჯების გადადგმა დღეს რუსეთის მთავრობას არ გაუძნელდება, რადგანაც ამ მხრივ პირველი სიძნელე რუსეთ-გერმანეთის აბჯართა შეხლამ დაამსხვრია. მას შემდეგ რაც რუსეთის მთავრობამ პოლონეთის ავტონომია ოფიციალად აღიარა, უკვე გასტყდა ის სიკერპე, რომელსაც რუსეთის მთავრობა ოდითვე იჩენდა ეროვნულ საკითხში. ერთა ავტონომიის შეუწყნარებლობის უფლება თუ არც წინედ ჰქონია მას, დღეს მით უმეტეს ავტონომიის უფლების უარყოფა შეუძლებელია, რადგანაც **პრეცედენტი ავტონომიის მინიჭებისა** რუსეთის მთავრობამ უკვე შეჰქმნა, 1915 წლის 20 მკათათვის აქტით!

აუარებელი ვალით დამძიმებული და ამავე დროს ეკონომიურად ჩამორჩენილი რუსეთი წელში ვერ გაიმართება, თუ არ შეჰქმნა მრეწველობისა და მეურნეობის სხვა და სხვა დარგი და არ გააჩაღა ცოცხალი ეკონომიური საქმიანობა ყველა იმ ღონისძიების საშუალებით, რომელიც სახელმწიფოს, როგორც ქვეყნის უზენაესს ორგანიზაციას, მოეპოება. ეკონომიურად ჩამორჩენილი რუსეთი ის სახელმწიფოა, რომელსაც ევროპის სახელმწიფოთა შორის უკანასკნელი ადგილი უჭირავს სწავლა-განათლების მხრივაც. ამ ომის შემდეგ რუსეთმა გულწრფელად უნდა მიჰყოს ხელი ამ დარგში სერიოზულ მუშაობას და საერო სავალდებულო პირველდაწყებით განათლების შემოღებასთან ერთად გაამრავლოს მაღალი პირველდაწყებითი და საშუალო, უმაღლესი ტეხნიკური, თუ სამეურნეო სასწავლებელი.

ჩვენ წარმოვიდგენთ ჩვენს თავს უარეს პირობებში, როდესაც არ გვექნება ის, რაც პოლონეთს მიენიჭა, და როდესაც, მაშასადამე, იძულებული ვიქნებით ღონე ვიღონოთ და ვიბრძოლოთ, რომ რაც შეიძლება მეტად გამოვიყენოთ ეროვნულის მხრივ ყველა ის რეფორმა, რასაც მთავრობა შემოიღებს დროსა და პირობების მოთხოვნის ძალით.

ამ გარემოებას, ამთავითვე უნდა შევეწყოთ. ყოველდღიური ჩვენი საქმიანობა ეროვნული თვალსაზრისით უნდა გავზომოთ და შორეულ მიზანს შევუფარდოთ. დიდი საქმეები ჯამია ყოველდღიურ პატარ-პატარა საქმისა, რომელსაც პოლიტიკური და ეკონომიური რომანტიკოსების ბუნება ასე ეკრძალვის. პატარა ძალებისა და ენერგიათა შეერთებისაგან წარმოიშვება ის, რასაც რომანტიკოსი პოლიტიკაში თუ ეკონომიკაში სახელად **დიდს** უწოდებს ხოლმე, სწორედ ისე როგორც უხილავ უჯრედებისა და ატომებისგან შესდგება და შემდგარან დიდი ცხოველები და მთანი მაღალნი!

## შავი დედოფალი

დედამიწის ზურგზედ მეცნიერებას არ ეგულება ისეთი ქვეყანა, რომელიც საქართველოს შეედრებოდეს შავი ქვის სიმდიდრითა და ხარისხითა. ჭიათურის მარგანეცი ამ ჩვენს პლანეტაზედ ობოლი შავი დედოფალია, რომლის ეშხმა დასწვა სხვა და სხვა კუთხის ვაჭრობა-მრეწველობის ღმერთები და რომლის დასაუფლებლად ეს უკანასკნელნი არც ოქროს მაცდურებას იშურებენ და არც ცისა და ქვეყნის ძალ-მომრეობას. მეორდება ის, რაც რომ ძველად ყოფილა, თუ დავიმოწმებთ შორეულ შვენიერ თქმულებას იაზონზედ. თავს გვესხმოდა ძველად ელინთა თუ სხვათა ქვეყნები ჩვენი ოქროს ვერძის მოსატაცებლად, თავს გვესხმიან დღეს შავ-ეშხიანი დედოფლის გასატაცად! ბუნებრივ სიმდიდრით უხვად დაჯილდოვების სანაცვლოდ განგებას ჩვენთვის წაურთმევია უნარი, რომ ხარბად დავიცვათ და გვიყვარდეს ეროვნული შვენიერება და იშვიათი განძეულობა. უდარდელობა და უზრუნველობა იმ ველური ხალხისა, რომელიც მზა-მზარეულად პოულობს [illegible] ნაყოფს საკვებად და მზე [illegible] ფანის სათბობად, [illegible] ქართველობასაც, მიუხედავად მისი მკვიდრი კულტუროსნობისა. დაუდევრობით, გამოუცდელობით და ულოდინარობით დავკარგეთ ბევრი საუნჯე, ბევრი უფლება. მაგრამ ვერც ერთი ზარალი, ვერც ერთი დანაკარგი ვერ შეედრება იმ ზარალს, რომელიც შეემთხვა საქართველოს ამ უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში, ჭიათურის შავი ქვის დაკარგვით.

ჭიათურა ისეთი დიდი ეროვნული განძია, რომ მისი სათანადო მოვლა, დაცვა და წარმოება მთელი საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებას დაეტყობოდა, დააწინაურებდა. მსოფლიო ბაზარზედ დიდია შავი ქვის საჭიროება; სამეტალურგიო მრეწველობა შეუჩერებელის პროგრესიით იზრდება და ამასთან ერთად იზრდება და მატულობს მოთხოვნილებაც შავქვაზედ. ამ მხრივ ჭიათურას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან შავი ქვის ხარისხით და ღირსებით იგი მეტოქეობის გარეშე სდგას.

თავისი ბუნებრივი უპირატესობის წყალობით ჭიათურა გარდაიქცეოდა ჩვენი ეკონომიური ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად, მილიონების წყაროდ, რომ დიდ საქმეს იმ თავითვე სათავეში მოქცეოდა ეკონომიურ საქმიანობაში გამოწრთობილი და მსოფლიო მრეწველობის და ბაზრის საკითხთან ჯეროვანად გაცნობილი პიროვნება. მაგრამ მთელი ქართველობის სამწუხაროდ, ჩვენმა ქვეყანამ ვერ წამოაყენა ასეთი პიროვნება. მთელი ჩვენი წარსული და არსებული სოციალ-ეკონომიური ცხოვრება არ აღზრდა ასეთ ტიპს ვერც ჩამოაყალიბებდა და დიდი საქმე თან და თან იღუპებოდა. ეკარგებოდა ჭიათურის შეუდარებელი სიმდიდრე არა მარტო ადგილობრივ წერეთელ ჩუბინაშვილ-ხაბულიანებ-ფრუიძეებს, არამედ მთელ ქართველობას, მთელ საქართველოს. და მთელს დედა-მიწის ზურგზედ ჯერ სწორ-უპოვარი ჩვენი განძი გადადიოდა ბერძნებისა, ფრანგებისა, ინგლისელებისა, გერმანელებისა და სხვათა ხელში! ყველანი ამ მოვლენის მოწმენი ვიყავით. ულონო, უმწეო მაცქერალი იყო შეგნებული და შეუგნებელი საქართველო. იარაღ-აყრილი სდუმდა ამ მწუხარების წინაშე ისიც, ვისაც მდგომარეობის ძალით უნდა პასუხი გაეცა და ეგო ამ მოვლენისათვის; სდუმდა ისიც, ვინც უბრალო მეთვალყურე იყო ამ უბედურებისა. ჭიათურის საკითხი ადგილობრივ პრესაში ათასში ერთხელ თუ თავს წამოყოფდა. მაგრამ საკითხს მაშინათვე პარტიულ კინკლაობის ფარგალში ჩაითრევდნენ და იქ იხშობოდა სრულიად უნაყოფოდ და უშედეგოდ ქვეყნისა და ხალხისათვის. ბოლო ხანებში ესეც სრულიად მინელდა, საზოგადოება შავი ქვისადმი ინდიფერენტიზმით გაიმსჭვალა, ჭიათურამ თითქოს დაჰკარგა საზოგადო, ეროვნული ხასიათი. მას დღესაც ისევ უვლიან და ჰპატრონობენ, როგორც დღემდის. მაგრამ მანძილი იმ დღიდან ამ დღემდე რამეს უნდა ნიშნავდეს. იგი გამოცდილების და სწავლა-ცოდნის შეძენის მანძილი უნდა ყოფილიყო და რაც იმ დღეს ადვილ საპატიებლად შეიძლებოდა ჩათვლილიყოს, იგი დღეს სრულიადაც საპატიებელი ვერ იქნება. ყველამ უწყის, რომ რუსეთის მთავრობამ ხაზინის საკუთრებად გამოაცხადა ჭიათურის ის მადნიანი ადგილები, რომელიც გერმანელებს ეკუთვნოდა. გერმანელებმა თუმცა უკანასკნელ წლებში მოაშურეს ჭიათურას, მაგრამ თავიანთი იშვიათი საორგანიზაციო ნიჭისა და მუყაითობის წყალობით, დიდი ადგილი დაიჭირეს ექსპორტაციაში. 1913 წელს საერთო გაზიდულ 70 მილიონ ფუთიდან, გერმანელების წილად 25 მილიონი ფუთი მოდის. მთავრობის ეს განკარგულება ფრიად საგულისხმიერო უნდა ყოფილიყო ქართველობისათვის. თუ სადმე გავლენიანი და მდიდარი პირები მოგვეპოვებოდა, თუ ქართული რამ ბანკები ჩვენში არსებობენ, თუ სადმე იქნებოდა ცოცხალი მომქმედი და ინიციატივიანი კაცი, უნდა ყველა და ყველაფერი ამოძრავებულიყო და ამუშავებულიყო, რომ ეს ჩამორთმეული მამულები რომელიმე ქართულ ორგანიზაციას ხელში ჩავარდნოდა. ამაზედ ყველაზე მეტი უფლება ისევ ისე შავი ქვის მრეწველთა საბჭოს უნდა დათმობოდა. ერთი სიტყვით ეს საკითხი ცოცხალ ეროვნულ ეკონომიურ პოლიტიკის საკითხად უნდა გადაქცეულიყო და ჩვენი საზოგადოებრივი ენერგია და გულისყური პირველ ყოვლისა მას უნდა მიძღვნოდა! ვის უნდა გამოეტანა ეს საკითხი გარედ, ვის უნდა დაეყენებინა იგი სა-

ზოგადოების ყურადღების წინაშე, ვის უნდა მოეთხოვა საზოგადო შველა და დახმარება მის გადასაჭრელად ჩვენდა სასარგებლოდ? ვის უფრო გათვალისწინებული უნდა ჰქონიყო ამ საქმის დიდი ეკონომიური ღირებულება და მისი დაუფასებელი მნიშვნელობა ჩვენს ეროვნულ ნივთიერ აღორძინებაში?! ჩვენ გვგონია, ყველაზედ უკედ ეს უნდა ცოდნოდა თვით შავი ქვის მრეწველთა საბჭოს; მეტიც, ამაზედ ხმის ამოღება მისი პირდაპირი მოვალეობა იყო. საკუთარი გაზეთის ქონაც საბჭოს წევრებს დიდად ხელს შეუწყობდა სათანადო კამპანიის გაწევის საქმეში. ჩვენი გაზეთის 19 მარტის ნომერში მოთავსებული იყო კერძო დეპეშა პეტროგრადიდან, რომელიც გადმოგვცემდა ხაზინის მიერ გერმანელების ჭიათურის მადნიან ადგილების მისაკუთრების ამბავს. მეორე დღეს ამ ამბავს ჩვენმა გაზეთმა მეთაურიც უძღვნა. გვეგონა ამ გარემოებას მაინც გამოეხმაურებოდა ვისიც ჯერი იყო. საცა ორმოცი მეთაური და სამოცი ფელეტონი დიდის ხალისით დაიწერება საარჩევნო კინკლაობისა და არ არსებულ „დასელთა და ნაციონალ დემოკრატთა სამარცხვინო ბლოკზე", იქ ერთი საბუთიანი წერილის მოთავსება დიდს საქმეზედ შესაძლებლად გვქონდა წარმოდგენილი. მაგრამ ჩვენში რა ხდება ლოღიკური და გონიერი, რომ ეს მომხდარიყო?!

ჩვენ გავიგეთ რომ ცენტრალ მთავრობას განზრახვა აქვს ჭიათურის ჩამორთმეული მადნიანი ადგილები ინგლისსა თუ საფრანგეთს ჩაუგდოს ხელში. მოსალოდნელია ყოველგვარი კომბინაციები, რადგანაც მთავრობას ფული დიდად ესაჭიროება. გავიგეთ აგრეთვე, რომ კავკასიის მთავრობას პეტროგრადში პროექტი წარუდგენია, რომ ჭიათურის აღნიშნული ადგილები იჯარით გაცემულიყო. გავიგეთ ისიც რომ სომხის კაპიტალისტები ცდილობენ, რომ იგი ხელში ჩაიგდონ. რომელი აზრი და წინადადება გაიმარჯვებს, არ ვიცით. არც ის ვიცით, თუ ვინ დაეპატრონება ამ ძვირფას ადგილებს: ფრანგი, ინგლისელი, სომეხი თუ პოლონელი. ერთი რამ ცხადია რომ ეს ადგილები ქართველებს კვლავაც დაეკარგებათ. მართალია, თუ მთავრობას მაინც და მაინც არ ჰსურს ნივთიერი ინტერესის თუ სხვა რამ მოსაზრების ძალით ეს მიწები ქართულ ორგანიზაციებს შეაძენინოს, ჩვენ ბევრიც რომ ვიფხაკუროთ ვერას გავხდებით, მაგრამ მაინც საჭირო იყო მოქმედება რომ ეს ადგილები ჩვენ დაგვრჩენოდა, აუცილებელი იყო ცდა რომ გვეხმარა ჩვენი ეროვნული გავლენის ძალა-ენერგიის და ღონისძიების მაქსიმუმი, რომ მთავრობას ჩვენთვის დაეთმო ამ ადგილების შეძენის თუ ექსპლოატაციის უფლება. ეს არამც თუ საჭირო და აუცილებელი, არამედ სავალდებულოც იყო. ჩვენ ჩვენსას გავაკეთებდით, ჩვენ ჩვენთვის ვიზრუნებდით შეგნებულად, ენერგიულად, როგორც შეშვენის ცოცხალს და მომავლის მოიმედოვნე საზოგადოებას. და თუ ვერას გავხდებოდით, ეს ბრალდებად არ მოგვეზღვებოდა. ვიცით რომ მარტო ჩვენ არა ვართ ქვეყანაზე და შედეგიც განსაზღვრულ დროსა და პირობებში ყოველთვის ორი შეხლილი ძალის პროპორციის მიხედვით სწყდება. დღეს არ ვიცით ვინ რა გააკეთა ამ სფეროში. იქნებ საბჭო ბევრსაც ეცადა და ვერას გახდა. არ გაგვიკვირდებოდა. ეს მაინც ეცნობებინათ. გარჯისთვის მადლობას მაინც ვეტყოდით, თუმცა არც სულ უსაყვედუროდ დავტოვებდით, რადგან თავის ამგვარ ცდისა და დემარშების დროს საზოგადო ძალების მობილიზაცია არ მოუხდენია და მთელ ეროვნულ ენერგიას არ დამყარებია. დიდი ეროვნული საქმისთვის არავინ არაფერს დაიშურებდა. ანარქიულმა, პარტიზანულმა მოქმედებამ ბევრი რამ შეიწირა. და ჩვენი ობოლი შავი დედოფალიც მან დაგვაკარგვინა!

ს. კედია.

# დეპეშები

(პეტროგრადის საკუთარ კორესპ.)

**საფრანგეთის გაზეთების ცნობებით ვერდენთან მდგომარეობა ფრანგების სასარგებლოდ შეიცვალა. უკანასკნელ დროს ფრანგებმა უკვე დაიწყეს იერიშების მიტანა. თვითონ გერმანელებიც არ უარჰყოფენ ამას, მაგრამ არაფერს კი არ ამბობენ თუ რა ნაყოფი გამოიღო ფრანგების იერიშებმა. ამასთანავე გერმანელები არ აცხადებენ, ნამდვილად რომელ ადგილას სწარმოებს მთავარი ბრძოლა.**

—

**პეტროგრადში სულ ახლო მომავალში ელიან საფრანგეთის მინისტრ პრეზიდენტად ნამყოფს ვივიანს.**

—

**ვოლფის სააგენტო იტყობინება: გერმანეთის ცნობილი სოციალდემოკრატი ლიბკნეხტი მთავრობამ დაატუსაღა.**

—

**„ბირჟ. ვედომოსტ."-ს ბუქარესტიდან ატყობინებენ: საბერძნეთისა და მოკავშირეების შორის ომი აუცილებელიაო.**

ლ. ჯ.

—

(მოსკოვის საკ. კორესპონდ.)

**„რუსკი ინვალიდი" სწერს: სახალხო მატარებლების მიმოსვლა გერმანელების რკინის გზებზე შეწყვეტილია იმის გამო, რომ აუარებელი ჯარი გადაჰყავთ რიგა-დვინის ასპარეზზე. აქეთკენვე ეზიდებიან სხვა ციხეებიდან მძიმე ზარბაზნებს.**

—

**საბერძნეთი ახლა ისეთს მდგომარეობაშია, რომ ომში ჩარევა არ ასცდება. მოკავშირეებს გადაწყვეტილი აქვთ, გადაჭრით მოსთხოვონ საბერძნეთს მათი მოთხოვნილების მიღება.**

—

**ირლანდიაში მთავრობამ აკრძალა მიტინგების გამართვა.**

—

**გერმანეთის რეიხსტაგის დეპუტატები სადარბაზოდ გაემგზავრნენ სტამბოლში.**

—

**ახლა უკვე დატუსაღებული, სამხედრო მინისტრად ნამყოფი სუხომლინოვი 108 მუხ. ძალით პასუხისგებაში მისცეს.**

—

**თურქესტანიდან რუსეთის შიდა გუბერნიებში გადაასახლეს 47 ათასი გამოქცეული.**

—

**მოსკოვში შემოიღებენ ბარათებით სანოვაგის მიცემას.**

—

**ტრაპიზონში თავს იყრიან ცნობილი რუსის კომერსანტები.**

გ. ვ.

(პეტრ. სააგენტოს დეპეშები).

რუსეთის ასპარეზზე, სად. ოლიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით, რუსებმა წინ წაიწიეს და დაპყრობილ ადგილებში გამაგრდნენ.

—

კავკასიის ასპარეზზე ბაიბურთთან, ერზინჯანთან და ბითლისთან ოსმალებმა იერიში მოიტანეს, მაგრამ ყველგან მოიგერიეს.

—

ვერდენის ასპარეზზე მორტჰომთან ფრანგებმა წინ წაიწიეს და გამაგრდნენ.

—

„304" სიმაღლესთან სასტიკი საარტილერიო ბრძოლაა. აქ გერმანელებმა წინ წაწეული თხრილები ხელთ იგდეს.

—

ხელის მოწერა ეროვნულ სესხზე ბულგარეთში 21 აპრილს დაიწყო. სესხი ამ დღესვე შევსებულა.

—

სამხრეთ მანჯურიაში სარევოლიუციო მოძრაობა დაიწყო.

—

სოციალისტური ფრაქცია ლიბკნეხტის განთავისუფლებას მოითხოვს.

# ახალი ამბავი

✦ **სასახლეში.** მეფის ნაცვალს დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს სასახლეში წარუდგა თბილ. გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი თ-დი კ. ნ. აბხაზი, რომელიც შემდეგ მეფის ნაცვალმა საუზმეზე მიიწვია.

✦ **ერობის გარშემო.** ქართულ კულტურულ საზოგადოებათა კავშირმა საერობო თათბირზე დასასწრებლად აირჩია გ. ნ. ყაზბეგი.

✦ **განახლებული საბჭო.** ქალაქთა საქმეების საკრებულომ 22 აპრილს უცვლელად დაამტკიცა ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნები და ყველა საჩივარი არჩევნების შესახებ უყურადღებოდ დასტოვა. განახლებული საბჭო შეიკრიბება ხვალ, 25 ამა თვეს. ხმოსნებს ჯერ ფიცს მიაღებინებენ და შემდეგ საბჭო გამართავს თათბირს. სხვათა შორის არჩეულ უნდა იქნას საბჭოს წარმომადგენელი ქალაქთა საქმეების საკრებულოში და საბჭოს თავმჯდომარეც.

✦ **თ-დ-აზნ. ბანკის ახალი შენობა.** სათავად-აზნაურო ბანკის ახალ შენობაში, ლორის მელიქოვის ქუჩაზე, სადურგლო მუშაობა-ღა დარჩა. ცენტრალური გათბობის მუშაობა დამთავრდა. ამ დღეებში მიიღეს მასალა მუხის იატაკისა, რომლის დაგებასაც უკვე შეუდგნენ. ბანკის შენობის ზედა სართული, სადაც სადეპუტატო საკრებულო უნდა მოთავსდეს, მკათათვის გასულს მზად იქნება, ქვეითა სართული კი ღვინობისთვეში, ასე რომ ბანკი იანვრისთვის უკვე გადავა ახალ შენობაში.

✦ **მეფის ნაცვლის საბჭოს** არ შეუწყნარებია გურიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების დადგენილება შესახებ იმისა, რომ საერობო თათბირზე თავისი წარმომადგენელი გაეგზავნათ. როგორც ვიცით, აღნიშნულ საზოგადოებას წარმომადგენლად არჩეული ჰყავდა ბ-ნი ექ. თაყაიშვილი.

✦ **ქართულ საქველ-მოქ. საზოგადოების** გამგეობამ, თანახმად მოწერილობისა, აცნობა თბ. გუბერნატორს, გიორგობისთვიდან აპრილამდე საზოგადოებას სულ მიუღია 185 ვაგონი სხვა და სხვა საკვები და სათესლე მასალა, რომელიც ასე დანაწილდა მაზრებში: თბილისის მაზრას გაეგზავნა 10 ვაგონი, დუშეთისას—5 ვაგ., თიონეთისას—3, სიღნაღისას—126, თელავისას— 4, ბორჩალოსას—5 და ახალციხისას 5 ვაგონი.

✦ **ქალაქის ტრამვაი.** ზოგიერთ ლიანდაგზე რელსები ძალზე დაძველებულია და ვაგონები ხშირად გადასცდება ხოლმე ლიანდაგიდან. ქალაქის გამგეობამ საგანგებოდ კაცი გაგზავნა შიდა რუსეთის ქალაქებში რელსების შესაძენად, მაგრამ ვერსად იშოვა საყიდელი რელსი და არც ერთმა ქარხანამ არ იკისრა რელსების დამზადება. ეხლა ქალაქის გამგეობას განუზრახავს, თუ საბჭომ ნება დართო, რელსები აჰყარეს წმ. ბარბარეს ეკლესიისა და ძველ საყასბო შუა და ეს რელსები იქ დააგოს, საცა უფრო საჭიროა.

✦ **მემამულეთა საყურადღებოდ.** თანახმად ვაჭრობა - მრეწველობის მინისტრისაგან მიღებულ სავალდებულო დადგენილებისა, მატყლით მოვაჭრე კერძო პირთ, საზოგადოებებს, ბანკებს, შუამავლებს, ექსპორტის კანტორების, საქონლის საწყობების და სატრანსპორტო დაწესებულებათა პატრონებს ევალებათ აცნობონ პეტროგრადის სამაუდო მრეწველობის საქმეთა კომიტეტს ყოველ შეკითხვაზე (ტავრიდის სასახლეში) მათ კუთვნილ მატყლის რაოდენობის შესახებ, ვის ეკუთვნის ეს მატყლი, ან სად არის.

✦ **მ. საფაროვ-აბაშიძის ავადმყოფობა.** ავადმყოფს სწამლობს ექ. შალვა მიქელაძე. როგორც ამბობენ, ნიჭიერი მსახიობი გაციებული ყოფილა. გუშინ საღამოს ექიმთა კონსილიუმი მოხდა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: გ. მაღალაშვილმა, ს. ვირსალაძემ, შ. მიქელაძემ, ვ. მანსვეტაშვილმა და ი. გომართელმა. კონსილიუმმა საჭიროდ სცნო ყოველი ღონისძიება იქნას მიღებული, რომ სიცხემ ფილტვებს არ უწიოს.

✦ **ალექსანდრე ნეველის** სამხედრო ტაძარში გუშინ დედოფალ ალექსანდრა თეოდორის ასულის დაბადების დღეს, წირვა და სავედრებელი პარაკლისი გადახდილ იქმნა საქართველოს ეგზარხოსისა და ქალაქის სამღვდელოების მიერ. პარაკლისზე შეიკრიბნენ თბილისში მყოფი ყველა ეპისკოპოსები.

✦ **სამხედრო სესხი.** სახელმწიფო 5 ნახევარ პროცენტიან სამხედრო სესხზე ხელის მოწერის ვადა 13 მაისამდის გაგრძელდება.

✦ **ხელდასხმა.** ახლად დანიშნულ ერევნის ეპისკოპოს დამიანესი დღეს მოხდება სიონის ტაძარში.

✦ **ქართულ კულტურის მოყვარულთა** საზოგადოების საჯარო კრება გაიმართა 22 აპრილს გ. თ. ჟორდანიას თავმჯდომარეობით. მწერალმა მელანიამ წაიკითხა მოხსენება: „ზოგიერთი ადათ-ჩვეულებანი ქიზიყკახეთში". მოხსენება მეტად საგულისხმიერო აღმოჩნდა. შემდეგ გაიმართა კამათი.

**ელ. ჩერქეზიშვილის** 30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად სადღესასწაულო წარმოდგენას ზუბალაშვილის სახ. სახლ. არს. ქართ. წარ. მმართ. წრე გამართავს 29 აპრილს. ბილეთები დღეიდან იყიდება თეატრის კასაში.

✦ **საბალოსნო სკოლის ხარჯთ-აღრიცხვა** 1916 წლისა 40080 მ. 43 კ. უდრის. გასავალი 15069 მანეთით სჭარბობს შემოსავალს.

✦ **მასწავლებელთა საზოგადოების კრება.** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასკოლო სექციამ მოისმინა სახალხო მასწავლებელთა საზოგადოების საორგანიზაციო ბიუროს შუამდგომლობა და დაადგინა. სთხოვოს საზოგადოების მთავარ გამგეობას გადასდვას 600 მანეთი მასწავლებელთა დამფუძნებელ კრების საჭიროებისათვის რომელიც თიბათვის პირველ რიცხვებში შესდგება თბილისში და როცა აგრეთვე ლექციები გაიმართება მასწავლებელთათვის.

✦ **საქალაქო სკოლებში.** შეგირდების გამოცდა დაიწყება 25 მაისს და ყველგან უნდა დასრულდეს 1 თიბათვემდე.

✦ **პეტროგრადიდან თბილისში ჩამოვიდა** ციხეთა მთავარ გამგეობის უფროსის თანაშემწე ბ-ნი მელნიკოვი საალმაშენებლო საკითხთა გამოსარკვევად.

**ოზურგეთი.**

18 აპრილს ქალაქის საბჭოს სხდომა სხვა და სხვა მიზეზებისა გამო არ შესდგა.

— ოზურგეთის მცხოვრები ბ. ივანე ტრაპაიძე საჯაროდ აცხადებს, რომ მისი ძმა ნესტორ ტრაპაიძე მსახურებდა ჯარის კაცად მე-10-ე არმეისკი კორპუსში, 35 ბრიანსკის პოლკის მე-2 როტაში და 1915 წლის 21 ივნისს მდ. სანზე ბრძოლის დროს დაიკარგა უკვალოდ, თუ ვინმემ რამე იცის ხსენებული ჯარის კაცის შესახებ, სთხოვენ აცნობონ ოზურგეთში.

**ს. ახალდაბა.**

ადგილობრივ მცხოვრებს, ნიკო ზაალიშვილს სასტიკათ სცემეს ანდრო, არჩილ და გია მდინარაძეებმა. საქმე ასე მოხდარა. სოფ. ახალდაბაში ივანე ჯომარდაშვილს ქორწილი ჰქონია, ქორწილში სხვათა შორის დაპატიჟებული ყოფილა როგორც ნაცემი ზაალიშვილი, აგრეთვე ანდრო, არჩილ და გია მდინარაძეები. ამათ ქორწილში განუზრახავთ ზაალიშვილის ცემა, გაუტყუებიათ გარეთ და სასტიკათ უცემიათ რამდენიმე ალაგას გაუტეხნიათ თავი, დაშავებული აქვს სახე ზურგი დასხ.

# ბ. გ. ღამბარაშვილი და „ქართველ ექიმთა საზოგადოება"

გაზეთ „საქართველოში" ორი წერილი გვქონდა დაბეჭდილი „ქართველ ექიმთა საზოგადოების" დაარსების შესახებ. ერთი წერილი თვით ბ. ღამბარაშვილს ეკუთვნოდა. რომ ამ გვარი საზოგადოების დაარსება აუცილებელ მოთხოვნილებას წარმოადგენს ჩვენთვის, ეს ეჭვ გარეშეა და მისი მტკიცება მეტია. ვიტყვით, ამ გვარი საზოგადოების დაარსება თითქმის აუცილებელიც კი არის. თუმც ჩვენ ვიცით, რომ ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგადოებასთან დაარსდა ექიმთა და ბუნების მეტყველთა სექცია, რომლის მიზანიც არის პოპულიარულ ენაზე შედგენილი მედიცინიდან ხალხში გასავრცელებლად გამოსცეს წიგნაკები და სხვ. ეს სასიამოვნო მოვლენაა, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს „ექიმთა საზოგადოებას". ექიმთა სექცია წ. კ. გამ. საზოგადოებასთან არსებული არ წარმოადგენს საზოგადოებას და მისი მოქმედება შეზღუდულია და ესეც იქმნება, ვიდრე საზოგადოება სპეციალურ, დამოუკიდებელ ორგანოდ არ გამოაცხადებს თავს. სულ სხვაა როდესაც სამოქმედოთ დამოუკიდებელი საზოგადოება გამოდის, რომელსაც თავისი წესდება აქვს და მით თავისუფლადაც ხელმძღვანელობს. ამ შემთხვევაში მას შეუძლიან ფერადობა შეიტანოს საზოგადოებაში, რაც რომ გააფართოვებს მის მუშაობას.

ჩვენ ერთხელ კიდევ მოვაგონებთ ქართველ ექიმებს იმას, თუ რა სახისა უნდა იყოს მომავალი „ქართველ ექიმთა საზოგადოება", რომლის დაარსების ინიციატივა პრივატ-დოცენტმა ბ. გ. ღამბარაშვილმა თავს იდვა. ეს საზოგადოება, თუ დაარსდება იგი, დიდ კვალს დასტოვებს ქართველთა ცხოვრებაში. „ქართველ ექიმთა საზოგადოების" გარშემო დატრიალდება ნაწილი ინტელიგენციისა, რომელსაც მედიცინური ცოდნა-განათლება მიუღია და, დღემდე „უმოქმედო" ექიმებს, საზოგადო შრომის საშუალება მიეცემათ. ეს საზოგადოება გადიქცევა ქართულ მედიცინურ ცენტრად, რომელსაც ორი მიზანი ექმნება: პირველი, საზოგადოებრივ - კულტურული; მეორე, ნამდვილი მეცნიერული. მას ექნება ერთის მხრივ ბიბლიოთეკასამკითხველო, მუზეუმი, მედიცინური ჟურნალი ქართულ ენაზე და სხვა, მეორე მხრივ დაარსებს ახლად გათავებულ ექიმთათვის განმეორებით კურსებს. ამ გვარად საძირკველი ჩაეყრება ქართულ მედიცინას.

როგორც მკითხველი დაინახავს ეს გეგმა ძალიან რთულია და დიდ ენერგიას და ხარჯსაც გამოიწვევს. ცხადია, მხოლოდ სურვილებით არ გაკეთდება საქმე, მაშასადამე აქ სხვა რამეც არის საჭირო. დღევანდელ ცხოვრებაში ვერც ერთი საზოგადოება ვერც შესძლებს დიდხანს სიცოცხლეს, თუ რომ მას ეკონომიურად ზურგი გამაგრებული არა აქვს. „ექიმთა საზოგადოებასაც" პირველ ხანობაშივე მრავალი დაბრკოლება გადაეღობება წინ, ამის ასაცდენად კი საჭიროა მას ჰქონდეს მასაზრდოებელი რამ. ამგვარ რამედ ბ. ღამბარაშვილი „საზოგადოებასთან" საავადმყოფოს დაარსებას სთვლის, როგორც ეს კულტურულ ქვეყნებშია მიღებული. საიდან უნდა შეგროვდეს თანხა?

პაიებიდან, რომელსაც არა მხოლოდ ექიმები გამოიღებენ, არამედ თვით ამ იდეის თანამოზიარენიც. საავადმყოფოს საქველმოქმედო მიზანი არ ექნება, დარჩენილ ფულიდან „საზოგადოება" მოვალეებს გაისტუმრებს და შემდეგ თავის ფართო მიზნის განხორციელებას შეუდგება.

საავადმყოფო რადიო-რენტგენის კაბინეტით ქირურგიული განყოფილებით მოეწყობა. მის მოწესრიგებას თვით ბ. ღამბარაშვილი კისრულობს, რასაკვირველია უფასოთ, და საპატიო ფულსაც საკმაოთ შეიტანს. საქმის გამგებლობა მთლად „საზოგადოების" ხელში იქნება და თავის ნებით იმოქმედებს.

ბ. გ. ღამბარაშვილის აზრით „ექიმთა საზოგადოებას" მხოლოდ საავადმყოფოს დახმარებით შეუძლიან იარსებოს. მაგრამ თუ „საზოგადოება" სხვა რამე საცხოვრებელ საშუალებას გამონახავს ეს უფრო კეთილი. ერთი სიტყვით, თავი და თავი ქართველ ექიმთა ორგანიზაციულად შეკავშირებაა, ცხოვრების საშუალების გამონახვა თვით ექიმებს შეუძლიანთ.

მიუხედავად იმისა, რომ გაზ. „საქართველოში" ორჯერ გვქონდა ამ საგანზე ბაასი, სადაც ბ. ღამბარაშვილის მისამართიც იყო მოყვანილი, მას არც ერთი ექიმი არ გამოეხმაურა და უბრალო შეკითხვაც კი არ დაუსვამს მისთვის. პატივცემულ ბ. ღამბარაშვილის მისამართს კიდევ ვათავსებთ, იქნებ ეხლა მაინც გამოეხმაურონ მას ქართველი ექიმები: Москва, Арбатъ, Денежный пер. д. № 14 Родіо-лечебница прив.-доц. Г. Г. Гамбарова. მსურველთ ამ საქმის შესახებ ცნობების მიღება შეუძლიათ აგრეთვე გაზეთ „საქართველოს რედაქციაში. იმედია ეხლა მაინც ექიმები გამოელაპარაკებიან, გაზეთით თუ წერილობით, ბ. ღამბარაშვილს და დარწმუნდებიან, რომ მისი აზრი, „ქართველ ექიმთა საზოგადოების" დაარსება, უტოპია კი არ არის, არამედ ბუნებრივია, რასაც რეალური შედეგიც მოჰყვება.

ჩ. კაპანაძე.

# შენიშვნები.

II.

**ქართული სასკოლო სახელმძღვანელონი.**

ამ დღეებში დაიწყება თათბირი ჩვენში ერობის შემოღების შესახებ. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ეს საკითხი დადებითად გადაწყდება. რაკი ერობას შემოიღებენ ჩვენში, უეჭველია იგი სწავლა-განათლების საკითხს მორიგ საკითხად გაიხდის. ჩვენში მრავლად გაიხსნება სკოლები, სადაც ივლისის კანონით სწავლება დედა-ენაზე იწარმოებს. სკოლა კი უწიგნოდ წარმოუდგენელია. სასკოლო ქართული სახელმძღვანელონი კი, გარდა ორიოდე ენის შესასწავლისა, არ მოგვეპოვება. საქმე ძალიან დაზიანდება, თუ ჩვენ ამ მხრივ მოუმზადებელს მოგვასწრო ერობამ. ამ საკითხისთვის კი, არავინა ზრუნავს. ერთ დროს ამბობდენ კომისიები შესდგა სახელმძღვანელოების შესადგენათო, მაგრამ კომისიების საქმიანობის შედეგი არსადა სჩანს. გამოცდილებით ვიცით, რომ რაც მეტი პირი იღებს მონაწილეობას წიგნის შედგენაში, მით უფრო გვიანდება წიგნის დამთავრების საქმე. მერე კიდევ, აქაო და კომისია ადგენსო, კერძო პირნი აღარას აკეთებენ ამ მხრივ. ჩემის აზრით, ჩვენ არ უნდა უცადოთ, თუ როდის შეადგენს კომისია წიგნებს, ეხლავე უნდა შეუდგეთ სახელმძღვანელოების შედგენას ქართულ ენაზე. ამისათვის, ვგონებ, მოგვეპოვებიან გამოცდილნი მასწავლებელნი და კერძო პირნიც. უნდა შეერთდნენ სულ ბევრი ორ-ორი ან სამ-სამი პირი ერთი სახელმძღვანელოს შესადგენად და სულ ცოტა ხანში დამზადდება საჭირო სახელმძღვანელოები. გამომცემლებსაც ვიშოვით, ოღონდ წიგნი სათანადოთ შედგენილი იქნეს. ენკენისთვიდან, მაგალითად, აპირებენ ქალთა სემინარიის გახსნას და სახელმძღვანელონი კი, არსადა სჩანან. საკითხი მორიგია და გადადება, [illegible] ყურება ზიანის [illegible]. ნუ შეგვაშინებს საქმის სიახლე და სიძნელე, დეე იყოს первый блинъ комомъ, საქმე შემდეგში გამოსწორდება. თონეში თუ პირველადვე კუტი ჩაგვივარდება, ეს იმას არა ნიშნავს, რომ გამოცხობას თავი უნდა დავანებოთ.

ვარ ჯაფარიძე.

# ისტორიული ნაშთები.

**ნაღარა.**

ნაღარა არის სამხედრო ბუკი ოღონდ უფრო სუმბუქი და გარეგნულ სახით განსხვავებული.

ჩვენს მუზეუმში არ იპოვება არც ერთი ცალი ამ ძველ იარაღისა, რომელიც იხმარებოდა ომის დროს და საზოგადოთ ჯარში.

თითოეულს გუნდს ლაშქრისას თავისი მენაღარეები ჰყავდათ მედროშეებთან. მიუხედავათ გარეგნული სიმცირისა ნაღარას დიდი ხმა ჰქონდა და სატარებლათ სუმბუქი იყო.

ერთი ამნაირი ნაღარა ამ ოციოდე წლის წინეთ მე ვნახე ქართლში პატივცემულ დავით სულხანიშვილის სახლში. სახლის უფროსი სულხანიშვილის მამა-პაპა, როგორც თვითონ დავითმა გადმოგვცა მეფის მენაღარეები ყოფილან, (როგორც მექანარიშვილები მეფის მექანარეები ყოფილან).

ეჭვი არა მაქვს, რომ ეს ძვირფასი არხეოლოგიური ნაშთი ძველის ძველის კულტურისა დღესაც იმავე ოჯახში უნდა იპოვებოდეს სოფ. ტირძნისში. ამიტომ მივაქცევთ ქართველთა ეტნოგრაფიულს და კულტურის საზოგადოებათა ყურადღებას, ეს ძვირფასი ნაშთი ჩვენის კულტურისა მოუპოვოს ჩვენს საისტორიო მეცნიერებას.

მეორე მოვაგონებ ჩვენს დაწესებულებათ, რომ რაჭაში მრავალ წმინდან ტაძარში დაცემულია განთქმული ყაზის-ჯალალ-ედინის თაჯი (რკინის კუდი) და მისივე დროშა, რომელნიც 1231 წელს ქართველმა ლაშქრობამ თ. ამირაჯიბის მხედარ-მთავრობით დავლად აიღო და რუსუდან მეფეს მიართვა. აუცილებლად საჭიროა ეს ისტორიული ნაშთები არ დაიკარგოს, როგორც ამ ხუთიოდე წლის წინეთ უკვალოდ დაიკარგა ქუთაისის საკრებულო ტაძრიდან ფასდაუდებელი სიწმინდეები და მათ შორის „ნაწილი ქრისტეს ლურსმისა ხატიანათ და საკათოლიკოსო რიგალიები.

თ. ჟორდანია.

# გორის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების გარშემო

როგორც მკითხველს მოეხსენება, ქ. გორში დაარსდა სასოფლო სამეურნეო საზოგადოება, რომელმაც უკვე გახსნა თავისი კანტორა მეფის ქუჩაზე თ-დ დიასამიძის შენობაში. გაჩაღდა მუშაობა. აუარებელი ხალხი, მუდამ დღე, მოეშურება მაზრიდან საზოგადოების კანტორაში რომ მიიღოს რაიმე დარიგება, იყიდოს თესლი, შაბიამანი და სხ. ბ. ქურდიანი ერთ წუთსაც არ ისვენებს. აძლევს დარიგებას, უწონის შაბიამანს, ყიდის თესლს და უხსნის საზოგადოების მიზანს და მის სარგებლობის მოტანას.

ამ საზოგადოების საბჭომ აირჩია, თბილისში 26 აპრილის საერობო თათბირზე დასასწრებად, ბ. შალვა ქარუმიძე. ეს ამბავი არ მოეწონა აქაურ ერთს ჯგუფს, რომელიც დარაზმულია ჩვენ წინააღმდეგ და ყოველ არჩევნებზე სასტიკი იერიში მოაქვთ.

15 აპრილს ბ. ონიაშვილი სასტიკ პროტესტს უცხადებდა საბჭოს: მას არა ჰქონდა უფლება აერჩია რომელიმე პირი თათბირზე დასასწრებად, რომ მას უნდა მოეწვია კრება ყველა წევრებისა და ისე აერჩია რომელიმე პირი. საბჭო უპასუხებდა, რომ მას არ შეეძლო მოეწყო კრება საჩქაროდ, რადგანაც ამ საზოგადოების წევრები გაფანტული არიან სოფლებში, ხოლო არჩევა რომელიმე პირისა საერობო თათბირზე დასასწრებად, თანახმად მეფის ნაცვლის ბრძანებისა, შეიძლებოდა მხოლოდ ამ თვის 15-მდინ, ამიტომ საზოგადოებამ რომ ესარგებლა ბოძებულ უფლებით, აირჩია შალვა ქარუმიძე, საბჭო ამასაც კი უპასუხებდა, რომ შალვა ქარუმიძის არჩევნის კითხვას დასვამთ კრებაზედ, რომელიც უნდა მოხდეს 23 აპრილს და თუ კრება არ ინებებს შალვას არჩევას, მაშინ თათბირზედ ამ საზოგადოების წარმომადგენელი არ დაესწრობა და მაშასადამე ის დაჰკარგავს თავის უფლებას.

კან—ძე.

## ნამინისტრალ სუხომლინოვის დაპატიმრება

„რუს. სლოვო“ იტყობინება: ნამინისტრალი სუხომლინოვი გაჩხრიკეს და დააპატიმრეს.

დაპატიმრება ასე მომხდარა:

სენატორი ბოგოროცკი და პეტროგრ. პროკურორის ამხ. სმიტენი პოლიციისა და ჟანდარმთა თანხლებით სუხომლინოვის ბინაზე გასაჩხრეკათ მივიდნენ. ჩხრეკა ორ საათამდე გაგრძელდა. მრავალი ქაღალდი და მასალები წაიღეს თან. ბოგოროცკიმ წაუკითხა უმაღლესი ბრძანება საქმის გამოძიების შესახებ. სუხომლინოვმა ფეხზე დგომით მშვიდათ მოისმინა, მისი მეუღლე-კი ტირილით ამბობდა: „ჩემი ქმარი დამნაშავე არ არის, იგი მტრის მსხვერპლად გადაიქცა.“

სუხომლინოვს გამოუცხადეს, რომ იგი დაპატიმრებულია და იგზავნება პეტრეპავლეს ციხეში. მეუღლეს ქმარის ბედის განაწილება უნდოდა, მაგრამ უარი უთხრეს. სუხომლინოვი სმიტენმა ავტომობილით ციხემდე მიაცილა იგი ალექსეევის განყოფილებაში მოათავსეს, აქ ერთ დროს ისხდენ კნ. ტარაკანოვისა, დეკაბრისტები და სხვანი.

დაპატიმრების წინა დღეს სენატორმა კუზმინმა განაცხადა, საჭიროთ ვსთვლი სუხომლინოვის დაპატიმრებას. ეს აზრი მოახსენეს ხვოსტოვს, რომელმაც დაადასტურა. სუხომლინოვის დაპატიმრება მოსკოვში შტიურმერს აცნობეს.

საღამოთი ხვოსტოვის ნებართვით სუხომლინოვი მეუღლემ ინახულა კამედანტის თანადასწრებით. საუბარი გაგრძელდა 15 წ.

# ეკონომიური ცხოვრება

**აკაკი ხოშტარიას კონცესია.**

ჩვენმა თანამემამულემ ცნობილმა მრეწველმა აკაკი ხოშტარიამ სპარსეთის მთავრობისაგან გეილანსა, მაზენდერანსა და ასტრაბადში ნავთისა და სხვა მადნეულობის კონცესიები აიღო. დღეს გაზეთ „ნოვ. ვრემ.“-ში თეირანელი კორესპოდენტი ამის გამო სწერს:

თებერვლის პირველში ხოშტარიამ სპარსეთის მთავრობის სათავეში მყოფ ჩრდილო სპარსეთის დიდ მემამულე სიფეჰდარისაგან გეილანისა და თონგანშენის ნავთიანი ადგილები აიღო დასამუშავალად. კონცესია 3000 დესეტინას შეეხება 99 წლით არის იჯარით აღებული. ამ ვადის გასვლის შემდეგ უფლება აქვს კიდევ 99 წლით განაახლოს ეს კონცესია. გარდა ამისა ამ კონცესიის ძალით, ხოშტარია ყოველნაირ სახელმწიფო ხარჯებისაგანაც განთავისუფლებულია. ეს კონცესია სეფეჰდარმა ნასრადინ შაჰისაგან მიიღო და ეხლა თავისი უფლება ხოშტარიას გადასცა. ამავე დროს ხოშტარიამ კასპიის ზღვის სამხრეთის ნაწილში ნავთის მადნეულობის შეძენის უფლებაც მიიღო.

სპარსეთის ფარგალში მოქცეულ კასპიის ზღვის სანაპიროები რამ ნავთიანი ადგილებით არის სავსე, ეს დიდი ხანია გამოკვლეული იყო. ამ ადგილების უფრო დაახლოვებითი შესწავლა უფრო დიდს იმედებს აღგვიძრავს. ამ მხრივ ხოშტარიას მიერ ჩრდილო სპარსეთში ნავთის კონცესიების მიღება საკუთარის თაოსნობით დასამუშავებლად, დიდი და მნიშვნელოვანი ეკონომიური მოვლენაა.

ამავე თებერვალს ხოშტარიამ სპარსეთის მთავრობისაგან კიდევ გეილანში, მაზენდერანში და ასტარაბადში სახაზინო ადგილებიდან ნავთის გამოზიდვის კონცესია მიიღო 70 წლით. ამ კონცესიებიდან სარგებლობისათვის ხოშტარიას სააქციონერო საზოგადოების დაარსებისა, ანუ კონცესიის ერთი ნაწილისა სხვეზზე გადაცემის უფლებაცა აქვს მიღებული.

„ნ. ვ.“-ას კორესპონდენტი ხოშტარიას მიერ მიღებული ნავთის კონცესიებისა და ინგლისის სამხრეთ სპარსეთში მიღებულ კონცესიებს ერთმანეთს ადარებს. 1915 წელს ინგლისელებმა სპარსეთის კესრი-შირინის მხარეებიდან 6,768,886 მან. ნავთი გაიტანეს და ნავთის საყვანი მილები მეხმერემდის მიყვანილი აქვთ, მაგრამ მხოლოდ სეფეჰდარისაგან მიღებული ხოშტარიას კონცესია ინგლისელების კონცესიას სრულებით არ ჩამოუვარდებაო. ნავთის კონცესიების გარდა ხოშტარიას ასპალტისა და სხვა მადნეულობის კონცესიები აქვს მიღებული, იმ პირობით, რომ მათი წმინდა სარგებლობიდან 16% სპარსეთის მთავრობას მისცეს.

ამავე დროს ხოშტარიას 50 წლით ასტრაბადში „იოთომქინ“-ის მიხეული ადგილის კონცესიაც აქვს მიღებული. ამ ადგილებში 20,000 დესეტინის ბამბის ყანებია. ფორთოხალი, ლიმონი და სხვა ხილის ხეებიც არის. გარდა ამისა სეფეჰდარის მიერ აღებული გეილინის რკინის გზის კონცესიაც ხოშტარიას აქვს შეძენილი.

აგრეთვე ენზელ-თეირანის გზატკეცილის გამგეობას, ხოშტარიას მეთაურობით წარსულ თებერვალს ფირემაზარიდან რეშთამდე გასაყვანი რკინის გზის გაყვანის კონცესია მიუღია.

—

**დ. ს. სხირტლაძემ:** ესკი ბადუევისგან შეიძინა 12 ნებართვის ქაღალდი ნავთის წარმოების დასაწყებად სოფ. სირკურს, თერგის ოლქში.

—

**სავაჭრო-სამრეწველო ბანკებს** შარშან კარგი მოგება ჰქონდათ. რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო ბანკმა 1915 წელს თითეულს აქციაზე 20 მან. დივიდენდი მისცა, 1914 წელს კი—9 მანეთი.

ყაზანის სავაჭრო ბანკმა აქციაზე 28 მანეთი მისცა. ე. ი. 12%.

—

**პურით ვაჭრობა** რუსეთის შინაურ ბაზარზედ ოდნავ შეჩერებულია. ზოგიერთ ადგილებში პური აღარ იშოვება, საქონლის გადატან-გადმოტანის მოუწესრიგებლობის გამო. ოდესაში ფუთი უმაღლესი ხარისხის ფქვილი 1 მან. 55 კ. ფასობს, საშუალო—1 მ. 45 კ-დან—1 მ. 50 კ-მდე, დაბალი ხარისხის—1 მ. 35 კ.—1 მ. 40 კ-მდე.

—

**ნავთის** ფასები ბაქოს ბირჟაზე მატულობს. დაწმენდილი ნავთი ამჟამად ფუთი 59—60 კაპეიკია. გაუწმენდელი 47—48 კაპ.

—

**საადგილ-მამულო** ბანკების საგირავნო ფურცლები ფასობს: თბილისის სათავად-აზნ. ბანკის—77 მან. ქუთაისის სათავად-აზნ.—69 მ. 75 კ.

## ირლანდიის აჯანყება

საუკუნეთა განმავლობაში ირლანდიის გულისთქმა თავისუფლებისაკენ იხრებოდა. ბევრი მწარე დღე განუცდია ამ მრავალ ტანჯულ ქვეყანას ინგლისის სათავეში მდგომთა პოლიტიკის წყალობით. ბევრი ცხარე ცრემლი დაღვრილა, აწიოკებულ და უცხო ქვეყნებში გახიზნულ ირლანდიელთა კერაზე. ბევრჯელ შეღებილა ძმათა სისხლით ირლანდიის მინდორ-ველი და სალი კლდეები. ვის არ მოეხსენება ირლანდიის განთქმულ მამულიშვილის პარნელისა და ინგლისის სახელმწიფო მოღვაწის გლადსტონის ბრძოლა ირლანდიის ჰომრულის გარშემო. ირლანდიის ეროვნული გულის თქმა მუდამ ჩაუფერფლია და ფეხ-ქვეშ გაუთელია დიდებულ და ძლევა მოსილ ინგლისს. მაგრამ, სჩანს, ირლანდიელთა გულში არ ჩამქრალა მეამბოხე სული და მათ ამ მსოფლიო ქარცეცხლის დროს კვლავ სცადეს თავისი ბედის გამობრუნება. გაზეთები თუ დეპეშები, ვგონებთ, მთლიანს და შევსებულ სურათს არ გადმოგვცემენ ირლანდიაში მომხდარ აჯანყებისას.

მაგრამ მაინც სჩანს, რომ ირლანდიაში ჯერ ყველაფერი არ დასრულებულა.

ვინ არის ამ მოძრაობის სულის ჩამდგმელი? რომელი პოლიტიკური პარტია ჩაუდგა მას სათავეში? გაზეთებში უკვე ცნობა იყო მოთავსებული, ამბოხების ხელმძღვანელად „სინ-ფეინერები“ არიანო. ვინ არიან ეს „სინ-ფეინერები“? „სინფეინერები“ სამოციან წლებში ჰქადაგებდენ ირლანდიის სრულიად ჩამოშორებას ინგლისისაგან და დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნას. ჩვენ ვიცით, რომ ირლანდიის სხვა პოლიტიკური პარტიები მუდამ სცდილობდნენ ინგლისის პარლამენტის საშუალებით მოეპოვებინათ ირლანდიისათვის ავტონომიური მმართველობა ეგრედ წოდებული ჰომრული. ისე რომ სინ-ფეინერები თითქმის სრულებით განცალკევებულად მდგარს ჯგუფს წარმოადგენდნენ და მათს სეპარატიულ მიდრეკილებას მხარს არ აძლევდა მთელი ირლანდიის ხალხი. ეხლანდელ ამბოხების დაწყებისას ირლანდიაში ყველაზე გავლენიან პარტიის ბელადმა ჯონ-რედმონდმა საზოგადოებათა პალატაში გაჰკიცხა მეამბოხენი და სრულებით მოიწონა ინგლისის მთავრობის მიერ მიღებული სასტიკი ზომები ამბოხების ჩასაქრობად. ცნობილი ირლანდიელი პოლიტიკური მოღვაწე კარსონიც რედმონდის აზრს იზიარებს. ასეთია გაზეთების მიერ გადმოცემული კანტი-კუნტი ცნობები ირლანდიის ეხლანდელ ამბოხების თაობაზე. (ბ. ვ.)

## დაბა-სოფლები

**სოფ. მეტეხი.** მეტეხსა და გარშემო სოფლებში ჯერჯერობით მოსავალს კარგი პირი უჩანს. დღე გამოშვებით საღამოობით მოდის წვიმა და დილიდან თბილი დარი უდგება. ამ ხანად ხალხს შემოაკლდა საკვები ხორბალი და იძულებულია იყიდოს ოდესის ფქვილი. ამ გარემოებით სარგებლობენ სოფლად მყოფი მსხვილი ვაჭრები და ფქვილს, რომელიც მოტანით ტომარა უჯდებათ 14 მან. ხალხზედ ჰყიდიან 17—19 მან. მეტეხის და ახალქალაქის საკრედიტო ამხანაგობები ცდილობენ შეერთებული ძალით ხალხს საკვები ხორბალი და ფქვილი მოუტანონ. ამ დღეებში მოიტანეს ოთხი ვაგონი ფოთიდან. წელს აქეთ სახნავი მამულები თითქმის სულ დამუშავდა, თოხნაში და ვენახების მუშაობაში დიდ მონაწილეობას იღებენ ქალები და მოზარდნი. მუშა ხელის ნაკლებობა სოფელს მაინც ძალზედ დაეტყო; დღეში მუშა ვაჟკაცი ღირს 1 მ. 50 კაპ. დამქირავებელის ხარჯით. ზაფხულში მუშის ხელ-ფასი ძალიან აიწევს და მამულიც დაუმუშავებელი დარჩება. ამ გარემოებას სამაზრო ადმინისტრაციაც დაუფიქრებია და სოფლად განკარგულება მოუხდენია, შესდგეს სოფლებში მომუშავეთა არტელი, რაც ყოვლად მოუხერხებელია დღევანდელ პირობებში. მაზრის უმფროსის მონაწილეობით მოხდა 25 მარტს ქ. გორში კრება, რომელსაც დაესწრნენ თავად-აზნაურთა წინამძღოლი რ. ერისთავი, მომრიგებელ შუამავალნი, აგრანომები, კოოპერატივის წარმომადგენლები და სოფლის მამასახლისნი. აქ გარდასწყვიტეს 10 აპრილამდის შემოეტანათ უეჭველად სათესლე და საკვები სიმინდი, მაგრამ ყოველივემ ფუჭად ჩაიარა.

4 აპრილს ქ. გორშივე მოხდა კრება წვრილ გამსესხებელ-შემნახველების ამხანაგობის ინსპექტორ ბ. გრიგოლიას მონაწილეობით. კრებაზე ბ. გრიგოლიამ განუმარტა დამსწრეთ მნიშვნელობა სამხედრო სესხისა და სთხოვა ამ სესხში მონაწილეობა მიეღოთ, რაც ერთხმად მიიღეს. ამავე კრებაზე დამსწრე თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თ-დ. ერისთავმა დამსწრენი გააცნო ყოვლად საყურადღებო გუბერნიის თავად-აზნაურთა სადეპუტატო საკრებულოს დადგენილებას. როგორც დადგენილებიდან სჩანს, ჩვენ თავად-აზნაურობას ეხლა მეტად დიდი ყურადღება აქვს ჩვენი სოფლებისკენ მიქცეული და ჰსურს საქმითაც დაუმტკიცოს ეს გულ-შემატკივრობა. ყველაზედ საყურადღებო ამ დადგენილებისა არის შემდეგი: ეთხოვოს უმაღლეს მთავრობას, რომ ჩვენში არ იქმნენ ჯარში გაწვეულნი თეთრ და ლურჯ ბილეთიანები და აგრეთვე არ მოხდეს საქონლის რეკვიზიცია; შესანიშნავად აქვთ დასაბუთებული ეს თხოვნა: თუ რუსეთში ერთ ქალს შეუძლიან ერთის ცხენით ხნას, ფარცხოს და ოჯახს გაუძღვეს, ეს ჩვენში არ გამოდგება, რადგანაც ჩვენთვის საჭიროა ხვნაში რვა უღელა ხარ-კამეჩი და ხუთი ან ექვსი მუშა ხელი, ამ საქმეს ჩვენში ქალი ვერას დროს ვერ შეასრულებს. იმავე დადგენილებით თავად-აზნაურთ განუზრახავთ საცდელად სოფლად მუშათა არტელის შეჰქმნა, რათა დაუმუშავებელი არ დარჩეს მამული. რა სახით თუ ან როგორ უნდა დაარსდეს ეს არტელი, ამ საკითხმა გამოიწვია კამათი. ბოლოს ბ. თაზიშვილის წინადადებით გარდასწყვიტეს: საცდელად რამდენიმე შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობებს მიეცეთ, ის 600 მან., რომელიც თავად-აზნაურთა საკრებულოს გადაუცია საცდელ არტელის შექმნისთვის, თდ. ერისთავისთვის, 100 მან., ამ ფულით დაქირავებულ იქმნენ თვიურად სოფლის მუშები და იმუშაონ იქ, სადაც საჭირო იქნება. მეტეხის და ახალქალაქის ამხანაგობებმა 100 მან. უკვე მიიღეს თ. ერისთავისაგან, არტელი შესდგა ექვსი თვით ¢ მუშაობა დაიწყო. მუშას თვეში დაენიშნა 20 მან., მხოლოდ სამუშაო დღე არის 20. ეს მუშები არიან დაქირავებულნი ღვინობისთვემდე.

თუ საქმე კარგად წავა, როგორც თ. ერისთავმა განაცხადა, თავად-აზნაურთა საკრებულო კიდევ ასესხებს ფულს, მიღებული 100 მან. კი სამუდამოდ გადმოგვეცა.

მამულის მუშაობა სოფლად ჯერ კარგად მიდის, მაგრამ ერთი სავალალო სოფლისა ის არის, რომ შაბიამანს და გოგირდს ვერა შოულობენ, ზოგიერთ აქაურ ვაჭრებს, ვინ ეშმაკი გაიგებს თუ საიდან მოუტანიათ შაბიამანი და გირვანქას, ისიც ქურდულად, რვა აბაზად ჰყიდიან.

**გ. მტკვრისპირელი.**

— —

**„ხევი“** (დუშეთის მაზრა). ჩვენცა ვბაძავთ ჩვენს თანამოძმე ქართველებსა, ჩვენც შევიგნეთ რომ სწავლა განათლება აუცილებელს საჭიროებას შეადგენს ყველა ადამიანისათვის, ვიცით ისიც, რომ სწავლის შემდეგ კარგი არის გონების სავარჯიშოთ წარსულის არ დავიწყება, მამა-პაპათ ზნე-ჩვეულებას შესწავლა, მათი წარმოდგენა, რაც ხალხის გრძნობა-შემეცნებას ახალისებს და თვითცნობიერებს. აქ არიან უსასყიდლო მუშაკნი, რომლებიც ემსახურებიან სასცენო საქმეს. ამ მსახიობების დიდი მოთაყვანენი ვართ მათგან და დიდათ დავალებულნიცა; სამწუხაროდ ამგვარს პირებს ხელის მომართვისა და მადლობის მაგიერ ხელს უშლიან. განა ეკლესიას, სკოლას, თეატრს და სცენას გზა კვალი უნდა აურიოთ?... ესენი ხომ ჩვენი ზნე-ჩვეულების დამცველნი არიან! ესენი ხომ ჩვენი შემაერთებელნი და ჭკუა-გონების მასწავლებლები არიან. ვგონებ, რომ ყველა კეთილგონიერი ადამიანი დაგვეთანხმება რომ არავითარი მომაკვდინებელი ცოდო არ უნდა იყვეს კონცერტის და წარმოდგენების გამართვა; ამას არც პოლიტიკური რამე მნიშვნელობა აქვს, არც რელიგიური და მაშასადამე არც ვისთვისმე საზარალო უნდა იყვეს.

ნაალდგომევს თბილისის გუბერნატორის ნებართვით სოფ. სტეფანწმინდაში სცენის მოყვარეთა თაოსნობით უნდა გაგვემართა წარმოდგენა,— „ბაიყუში“. რომლის შემოსავალი ნახევარი უნდა მოხმარებოდა ომში დაჭრილ დასახიჩრებულთა და მეორე ნახევარი უნდა გადადებულიყო სკოლების სასარგებლოთ. ბ-ნმა თბილისის გუბერნატორმა მაზრის უფროსს დეპეშით აცნობა სტეფანწმინდაში ნება დართულია წარმოდგენაო. მაგრამ ხალხის სამწუხაროთ აქაურმა კომენდატმა დეპეშით აცნობა მაზრის უფროსსა, ნებას ნუ მისცემთო. ახლა უნდა მოგახსენოთ მიზეზი წარმოდგენის ჩაშლისა. მეტის მეტი თავმოყვარე აღმოჩნდა, ჩვენივე ერის შვილი ახალგაზდა ჯაფარიძე კომენდანტი. ხალხი ქუდს არ მიხდისო! ამას წინათ ერთს ადგილობრივს მცხოვრებს ნიკო გიგაურს ცილი დასწამა, შენ ჩემი მოკვლა გაგიძრახიაო. მისი ოჯახი ყაზახ-სალდათების თანხლებით გასჩხრიკა, მაგრამ ვერაფერი აღმოაჩინა. ნიკო მთელ ხევში ითვლება ცხვარივით წყნარ კაცად და არავითარი შენიშვნა არაოდეს მაზედ არა ყოფილა რა. დააპერინა თავის სალდათებს და თბილისისაკენ ისტუმრებდენ, რაზედ და რისთვის არავინ იცოდა, მერე დიდის თხოვნით და ხალხის ხვეწნით გაანთავისუფლა იგი.

სამხედრო გზაზე მოსიარულემ ყველამ იცის, თუ რა უბედური მთა არის გადასავალი გუდაურის ანუ ჯვრის მთა. გუდაურში სხვა მოსახლეობა არ არის, მხოლოდ ერთი ფოსტის სადგურია და სამი დუქანი. კობიდან ბარგით წამოსული მგზავრი, აგრეთვე მლეთიდან წასული მეურმე აუცილებლად გუდაურის მედუქნეებთან უნდა გაჩეროეს, დაღალულმა ცხენმა, ხარმა და მეურმემ აქ უნდა შეისვენონ, მონაყრდენ და შემდეგ განაგრონ გზა ასე ყოფილა და ასე არის დღემდე. კომენდანტი მიუხდება მედუქნებს და მეურმებს: აქ ნუ ისვენებთ, ნაგვიანდება და ჩვენს ახლოს ცუდი სუნი არისო. არც ხვეწნა, არც მუდარა კომენდატს არ ესმის, სულ იმას გაიძახის დაგიკეტამთო.

„ხალხი ქუდს რატომ არ მიხდისო“, ბრძანებს კომენდანტი. როდესაც ხალხის კეთილისმყოფელია ვინმე მოხელე, ჩვენი ხალხი იმას თავმდაბლათ თაყვანს სცემს და ღირსეულათაც დააფასებს თუ, არა და მთის ხალხი ძალათ არავის გაალმერთებს.

**კალმის-წვერა.**

რედაქტორ-გამომცემელი
**ხანდრო შანშიაშვილი**

### გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის (პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

> An die Kommandatur
> des Kriegsgefangenenlagers
> აქ დაიწერეთ ლაგერის ადრესი.
>
> Liebesgaben für die
> russischen Kriegsgefangenen.
> აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.
>
> Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingnenstrasse,

№ 48, А. А. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond Russe pour les prisonnier de guerre.

**ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:**

> Швейцарія Заказное
> Suisse. Recommandée
> Comité International de la Croix Rouge.
> Agence des prisonniers de guerre Genève.

### ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

**თბილისიდან გადის:**

| | | № | ს. წ. |
|---|---|---|---|
| ბათომისკენ | სამგ. მ. | 9 | 8.53 საღ. |
| „ | საფ. „ | 3 | 9.58 დილ. |
| ხაშურისკენ | სამგ. „ | 19-20 | 3.20 ნაშ. |
| ბაქოსკენ | ჩქარი „ | 4 | 10.20 საღ. |
| „ | ჩქარი „ | 6 | 12.8 დღის |
| „ | სამგ. „ | 8 | 11.13 ღამ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | 11.13 ღამ. |

**თბილისში მოდის:**

| | | № | ს. წ. |
|---|---|---|---|
| ბათომიდან | საფ. მ. | 4 | 9.30 საღ. |
| „ | სამგ. „ | 10 | 9.51 დილ. |
| ბაქოდან | საფ. „ | 3 | 9.3 დილ. |
| „ | ჩქარი „ | 5 | 7.41 საღ. |
| „ | სამგ. „ | 7 | 1.42 ნაშ. |
| ხაშურიდან | სამგ. „ | 19-20 | 7.25 დილ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | 8.8 დილ. |

### კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე ხუთშაბათს.**

**თბილისიდან გადის:**

| | | |
|---|---|---|
| ტფილისიდან . . | 8 ს. 58 წ. | დილ. |
| ნავთლუღი-ამიერ კავ. | 9 „ 23 „ | „ |
| ნავთლუღი-კახეთისა. | 9 „ 43 „ | „ |
| ვაზიანიდან . . | 10 „ 42 „ | „ |
| იორიდან . . . | 11 „ 35 „ | „ |
| საგარეჯოდან . . | 12 „ 17 „ | „ |
| ბადიაურიდან . . | 1 „ 15 | დღის |
| მელაანიდან . . . | 2 „ 37 „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 4 „ 08 „ | „ |
| ვაჩნაძიანიდან . . | 4 „ 58 „ | „ |
| თელავში მიდის . | 5 „ 35 „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 4 „ 18 „ | „ |
| კარდენახიდან . . | 4 „ 50 „ | „ |
| წნორის-წყალ. მიდის | 5 „ 15 „ | „ |

**თელავიდან**

| | | |
|---|---|---|
| თელავიდან . . . | 8 ს. 58 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან . . | 9 „ 45 „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 10 „ 46 „ | „ |
| მელაანიდან . . | 12 „ 02 „ | „ |
| ბადიაურიდან . . | 1 „ 13 „ | დღის |
| საგარეჯოდან . . | 2 „ 15 „ | „ |
| იორიდან . . . | 2 „ 53 „ | „ |
| ვაზიანიდან . . . | 3 „ 40 „ | „ |
| ნავთლულ-კახეთ. . | 4 „ 31 „ | „ |
| ნავთლულ-ამიერ-კავ. | 4 „ 46 „ | „ |
| თბილისში მიდის . | 5 „ 01 „ | „ |
| წნორის-წყლიდან . | 9 ს. 16 წ. | დილ. |
| კარდანახიდან . . | 9 „ 46 „ | „ |
| გურჯაანში მოდის | 10 „ 16 „ | „ |


## გამოსადეგი ცნობა

კავკასიის სამკურნალო ადგილების

## ცნობის მიმცემი ბიურო

(ბარიათინსკის ქუჩა № 6.)

უფასოდ იძლევა ყოველგვარ ცნობებს კავკასიის სამკურნალო ადგილების ყოველგვარ საკითხზე. ბიურო ღიაა საღამოს 5—7 საათამდე ყოველ დღე, უქმე დღის გარდა. ტელ. 14—96. წერილობითი პასუხის მისაღებად 10 კ. მარკა უნდა გამოიგზავნოს. (უ)

**ხილეული, მადნეული წყლის** მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: **მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლალიძის** და ამხ-ს ქარხნის **საუკეთესო** ხილეულ მადნეულის **ნამდვილი სამკურნალო** წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების **ყალბი** ეტიკეტების მიმსგავსებით **ნამდვილი ლალიძის** წყლის ეტიკეტის ნიშანი შემდეგია




ქართულად თავმოთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში ¢ თვით პრობკებსაც აწერია

„ლალიძის წყალი“

**მხოლოდ და მარტო ლალიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე**

## სუნი და გემოც საამური აქვს

წლ.

## თევზის მრეწველნი

## ძმ. ძეძველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

## განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-ძვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზალალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშოხნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.